პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—56

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: [illegible] 75 კ. [illegible] 1 მ. [illegible] გვერდზე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. [illegible]

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 17 სექტემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 213 (1368)

**დღეს**

— ინგლის-ოსმალეთის [illegible]
— სირიაში ნაციონალისტების [illegible]
— 15 სექტემბერს [illegible]
— დღეს თბილისში ჩამოვა უცხოელ მასწავლებელთა დელეგაციის მეორე ჯგუფი.

პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა ყოფ. მენშევიკ-მუშათა ჯგუფი.

## ბოროტმოქმედების წინააღმდეგ კოოპერაციაში

ამ რამდენიმე ხნის წინად ერთი ჩვენი კორესპონდენტი შემდეგს გვწერდა სოფლიდან კოოპერატივის ამბების შესახებ:

„გლეხები პატივისცემით იხსენიებდენ ერთ მოქალაქეს, რომელმაც უარი განაცხადა კოოპერაციაში მუშაობაზე. „პატიოსანი კაცია, შენი ჭირიმე, რატომ უნდა ჩაიგდოს ხალხის საყვედურში თავი? კოოპერატივში ის მიდის, ვინც გამორჩენას ელის. ეს კი ამას არ იკადრებსო".

სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ კოოპერაციის ასეთი დაფასება მართლა იმ გლეხების აზრს და შეხედულებას არ გამოხატავს, რომლებზედაც მოგვითხრობს ამ შემთხვევაში კორესპონდენტი.

კოოპერატივისადმი უნდობლობა და ეჭვის თვალით დამოკიდებულება თითქმის საყოველთაო მოვლენად გადაიქცა, რაც სერიოზულ დაბრკოლებას უქადის მის იდეის პოპულარიზაციას და ნორმალურ წარმატება-განვითარებას.

ამაში პირველყოვლისა და ყველაზე მეტად ბრალი მიუძღვის თვით კოოპერაციის ადგილობრივ მომუშავეებს. ბოროტმოქმედების მოარული სენი, რომელიც თითქოს განუკურნავ ჭირათ გადაიქცა ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით საბედისწერო შეიქნა კოოპერაციისათვის.

ხალხის ქონების მითვისებამ, ამრჩეველთა ნდობის გამასხარავებამ სწორეთ აქ იმიტომ მიიღო ფართე ხასიათი, რომ კოოპერაცია, როგორც კომერციული ორგანიზაცია, მაცდურების მეტ შესაძლებლობას ქმნის და უფრო იზიდავს ბოროტმოქმედის ხელს.

ყველაზე უფრო აღსანიშნავი და საგულისხმო აქ ისაა, რომ მტაცებლობამ, განსაკუთრებით სოფლის კოოპერაციაში, გაიდგა ფესვი და ზოგ ადგილას ის კიდეც ინაცვლა. [illegible] ნივთიერი დანაკლისი, რომელიც თან მოსდევს ამ ბოროტმოქმედებას, არც ისე დიდ საშიშროებას უქადის კოოპერაციის არსებობას.

საშუალო გამოანგარიშებით მთელ საბჭოთა კავშირში მომხდარ ბოროტმოქმედებათა ზარალი კოოპერაციის საერთო თანხის ერთი პროცენტის ოცდათვრამეტ მეასედს შეადგენს.

სამაგიეროთ ბევრათ უფრო დიდი და განუზომელია ის მორალური დანაკლისი, რომელიც მოაქვს კოოპერაციისათვის ამ ფლანგველობას და ხალხის ქონების მითვისება-მისაკუთრებას. კოოპერაცია იარსებებს ან როგორც მასიური, მშრომელი მოსახლეობის უშუალო მონაწილეობაზე დაყრდნობილი ორგანიზაცია, ან სრულიად ვერ იარსებებს.

ასეთ პირობებში მისი წარმატებით წინსვლაზე ლაპარაკი, როცა მოსახლეობის თვალში ის სრულიად ჰკარგავს თავის დანიშნულების ნამდვილ სახეს და ბნელი პირების ხელის მოსათბობ დაწესებულებათ ხდება, რა თქმა უნდა, უადგილო და უნაყოფოა.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ბოროტმოქმედება კოოპერაციაში გამოწვეულია მხოლოდ ადგილობრივ მუშაკების თავის საქმისადმი შეუფერებლობით, ან მათი არაკეთილსინდისიერებით. აშკარაა, რომ ჩვენ ღარიბი ვართ შრომის მოყვარულ, საქმეში ჩახედულ და ამასთანავე უანგარო და უმწიკვლო მუშაკებით. მიუხედავათ ამისა არის შემთხვევები, როცა ბოროტმოქმედების მსხვერპლად ხდება ისეთი ელემენტებიც კი, რომელნიც სხვა პირობებში და მდგომარეობაში შეიძლება ადვილად ამცდარიყვნენ დამნაშავის სკამს.

გარდა იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, კოოპერაცია თავის-თავად მაცდურების უფრო მოლიპულ გზას წარმოადგენს, აქ არის სხვა მიზეზებიც, რომელნიც ხელს უწყობენ ამ ბოროტების განვითარებას და მის მასიურობას.

თავდაპირველად აღსანიშნავია აქ საკონტროლო მუშაობა კოოპერაციის დარგში. ჩვენ ვიცით მაგალითები, როცა სარევიზიო ორგანოები გამგეობათა მაჩანჩალათ არიან გადაქცეული და მხოლოდ მაშინ ამოიღებენ ხმას, როცა ეს საჭიროა ფორმალური მოვალეობის მოსახდელად.

ხშირათ სარევიზიო ორგანოებში ირჩევენ ისეთ ხალხს, რომელთაც ან სათანადო ცოდნა არ შესწევთ, ან სხვა საქმით არიან დატვირთული. ერთი სიტყვით, სარევიზიო ორგანოები მიჩნეულია სხვათა შორის საჭიროების საგნათ და ამიტომ მათი მოღვაწეობა უმეტეს შემთხვევაში უფერული და უსიცოცხლოა.

ასეთ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო. ხან-გამოშვებით, „სხვათა-შორის" რევიზიებიდან უნდა გადავიდეთ ფხიზელ და მუდმივ კონტროლზე.

სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმის შენება არ შეიძლება მხოლოდ ნდობა-თანაგრძნობაზე დაყრდნობით. ამასთან ერთად საჭიროა პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა სასტიკი და მუდმივი თვალის დევნება. ეს კი, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, აკლია ჩვენს საკონტროლო ორგანოებს და განსაკუთრებით კოოპერაციის სარევიზიო კომისიებს.

მეორე მხრივ საჭიროა ჩვენი დამსჯელი პოლიტიკის შეცვლა ხალხის ქონების მტაცებელთა წინააღმდეგ. რაც უფრო რბილათ ეკიდება საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი საზოგადო საკუთრების მითვისებელთ და მფლანგველებს, მით უფრო თამამდებიან ისინი, მით უფრო საყოველთაო ხასიათს ღებულობს ეს ბოროტება. საჭიროა მეტი სიმკაცრე, მეტი დაუნდობლობა ხალხის ქონების მფლანგველების წინააღმდეგ. ამ მხრივ უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯები და უნდა ველოდეთ, რომ ის არ დააყოვნებს სასურველ ნაყოფის გამოღებას.

გარდა ამისა აქვე უნდა აღინიშნოს სასამართლოების მოუქნელობა მფლანგველებთან ბრძოლაში. არის შემთხვევები, როცა ბოროტმოქმედი რამდენიმე თვეობით თავისუფლად დაიარება გასამართლების მოლოდინში და ამნაირათ მისი დაუყონებლივ დაუსჯელობა უკმაყოფილების კიდევ უფრო მეტ საბაბს ჰქმნის და ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს ამრჩეველ მასაზე.

ამრიგათ საკონტროლო ორგანოების გამოცოცხლება, დამსჯელი აპარატის მეტი სისასტიკით ამოძრავება და მთელი მშრომელი ხალხის ფხიზელი და უშუალო მონაწილეობა ბოროტმოქმედების დევნაში, აი რა მოუღებს ბოლოს ხალხის ქონების მტაცებლობას, მის ავლა-დიდების გაფლანგვა-განიავებას.

## ახალი აღმოჩენა

მკითხველი, წაიკითხავს რა ასეთ სათაურს, იფიქრებს, რომ აქ ლაპარაკია მეცნიერების რაღაც მნიშვნელოვან მიღწევაზე, რომ მეცნიერებამ მიაგნო აქამდი უცნობ საიდუმლოებას და მთელი კაცობრიობის კუთვნილებათ გახადა იგი. არა, პატივცემულო მკითხველო, საქმე ასე არ არის. ახალი აღმოჩენა მოხდა მეცნიერების გარეშე, მეცნიერების გავლენის ყველა სფეროების გარეშე.

მაშასადამე, მოხდა სასწაული. საქართველოში აღმოაჩინეს ახალი ერი „მეგრელების" სახელწოდებით. მთელი მუშათა კლასისათვის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციისათვის, და მით უმეტეს საქართველოს კომპარტიისათვის, ცხადზე უცხადესია, რომ მეგრელები არ არის ცალკე ერი, მაშასადამე, „ახალი აღმოჩენის" ავტორები ჰეროსტრატეზე უფრო სულელები არიან; ისინი სამეგრელოს ხალხის მეგობრები კი არა, იანოვსკი-ვოსტორგოვის მემკვიდრეები არიან. მაგრამ სხვა ერების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც არ იცნობენ საქართველოს ისტორიას და საერთოდ საქართველოს სინამდვილეს, ზემონათქვამი ჯერ-ჯერობით არ არის დამარწმუნებელი იმისათვის, რომ ვსთქვათ, რომ „ახალი აღმოჩენის" ავტორები ნიკოლოზის რეაქციის სახელოვანი დამხმარეებია. შევეცდებით დავამტკიცოთ ეს.

რომ უდავო დასკვნამდე მივიდეთ, საჭიროა გვახსოვდეს ერთი ძირითადი დებულება—ერის მეცნიერული დახასიათება. რა არის ერი? ერი—ეს არის ისტორიულად შექმნილი მტკიცე მთლიანობა ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრების და ფსიქიური წყობის, რომელიც თავს იჩენს კულტურის მთლიანობაში. (სტალინი ნაციონალური საკითხის შესახებ). ეს უკვე არის დახასიათება ლენინიზმის და არა „მაფალუიზმის" *) მტკიცე ხაზის მიხედვით.

ამასთანავე ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ, თუ რომელიმე ეროვნების ზემოხსენებულ დამახასიათებელ ნიშანთაგანი არაა, არ გვექნება ეროვნება, როგორც ასეთი. განვიხილოთ პირველი ნიშანი—ენა. რა არის მეგრული ენა?!—მეგრული ენა ეს ქართული ენის შტოა. ძალიან ბევრი, თითქმის უმრავლესობა ქართული სიტყვებია მეგრულში. ძირები ყველა ერთ და იმავე წარმოშობისაა.

არასოდეს არ ყოფილა მეგრული მწერლობა, მეგრული ლიტერატურა. ქართული ლიტერატურა, მწერლობა—იგივე მეგრული ლიტერატურა და მწერლობაა. მეგრელი მწერლები და პოეტები—ქართველი მწერლები და პოეტებია.

ერთი სიტყვით ცალკე მეგრული ენა არ არსებობდა და არც არსებობს. ამის შესახებ საკმარისად გარკვეული ფაქტებია მოყვანილი ამხ. გეგეჭკორის წერილში: „იანოვსკი-ვოსტორგოვის ღირსეულ მემკვიდრეთ". ამიტომ განმეორება საჭირო აღარაა.

გადავიდეთ მეორე ნიშანზე. მეორე ნიშანია ტერიტორია. სამეგრელოს ტერიტორია სრულიად საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ის „ადამის" ჟამიდან საქართველოს განუშორებელ ნაწილს წარმოადგენს. ისტორიამ სხვა ფაქტები არ იცის.

შეიძლება მაფალულებმა გვიჩვენონ სხვა დოკუმენტი, რომელიც ამის საწინააღმდეგოს დაგვიმტკიცებს.

მაგრამ მათ 1804 წლის ტრაქტატის გარდა არაფერი არ მოეპოებათ. თუ 804 წლის ტრაქტატი შეიძლება ჩაითვალოს ეროვნების ტერიტორიალურ დამახასიათებელ ნიშნათ, მაშინ დიდი ნოვგოროდის მოსკოვთან შეერთების ტრაქტატი ასეთივე გამბედაობით შეიძლება მივიჩნიოთ ეროვნების დამახასიათებელ ნიშნათ. ასე რომ, 804 წლის ტრაქტატზე დაყრდნობა აბსურდია.

მესამე ნიშანი—ეკონომიური ცხოვრებაა. არც წარსულში, არც მით უფრო ამჟამად ისტორიას არ ახსოვს, რომ სამეგრელო ცალკე ეკონომიური ერთეული ყოფილიყოს. სამეგრელოს ეკონომიური ცხოვრება ისტორიულ დროიდან შესისხლხორცებულია საქართველოს ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებასთან. ამის წინააღმდეგის მტკიცება შეუძლია მხოლოდ ბუკიას, ბასილაიას, ახალაიას და კომპანიას, სამეგრელოს ავტონომიის ლოზუნგი [illegible] ბოდვაა.

მეოთხე და უკანასკნელი ნიშანი—ნაციონალური კულტურა, ნაციონალური ხასიათია. ისტორია და მეცნიერების წარმომადგენელნი ერთს ამტკიცებენ. ქართული კულტურა, ქართული [illegible] ხასიათი მთლიანად მეგრულია. ამ დებულების გამბათილებელი სხვა მტკიცება აქ ჩვენ არა გვაქვს.

ვუკეთებთ რა ჯამს ყოველივე ამას მივდივართ ერთ დასკვნამდი, რომ მეგრელები არაა საქართველოში ცალკე ნაცია, რომელიც აღმოაჩინა ბუკია, ბასილაია, ახალაიას კომპანიამ, არამედ არის ქართველი ერის განუყოფელი და განუშორებელი ნაწილი.

არავის არ ახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ სამეგრელოს მუშებს, მშრომელ გლეხობას და ინტელიგენციას დაესვას საკითხი იმის შესახებ, რომ მეგრელები ცალკე ერია და ამიტომ აუცილებელია მისი დამოუკიდებელი არსებობაო. ეს ჩვენ პირველათ გავიგონეთ აშორდია—გაგუას მემკვიდრეებისაგან. ალბად, „მაფალუ"-ს კომპანია აღჭურვეს უფლებებით ბრწყინვალე თავადებმა დადიანებმა და გაჰკივიან სამეგრელოს ავტონომიის შესახებ. განა სამეგრელოს მუშები და გლეხები ამის შესახებ არ ეტყოდენ თავის მთავრობას, რომ ამას ჰქონდეს რაიმე ნიადაგი? რასაკვირველია, ეტყოდენ, მაგრამ ასეთი ფაქტი არ არის. რომ აუცილებელი ყოფილიყო სამეგრელოს ავტონომია ან დამოუკიდებლობა, საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ 21 წელს გადასჭრიდა სამეგრელოს ავტონომიის საკითხს, ისევე, როგორც გადასჭრა აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის საკითხები. მაგრამ რახანარ არსებობდა მეგრული ერი, არც შეიძლებოდა ასეთი საკითხი დასმულიყო ხელისუფლების წინაშე. სამეგრელოს ავტონომიის საკითხს ოდნავადაც რომ მხარს უჭერდენ სამეგრელოს მშრომელები, განა მენშევიკური ხროვა არ გამოიყენებდა მას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ?! განა ის ხელიდან გაუშვებდა ამ მომენტს, რომ გადაებირებია თავის მხარეზე უკმაყოფილო მეგრელები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ?! ისინი ყოველ გზა-ჯვარედინზე დაიწყებდენ ყვირილს, რომ სამეგრელოს მშრომელ ხალხს სჩაგრავენ ბოლშევიკებიო და სხვ.

გარდა ამისა, რამოდენიმე სიტყვა „პროპაგანდის" შესახებ სამეგრელოში. „მაფალუ"-ს მომხრეები და მათი ამყოლ-დამყოლნი გაიძახიან, რომ მეგრელების 90 თითქმის 100 პროცენტს არ ესმის ქართული ენა, რომ არ ხდება პროპაგანდა მათ შორის მეგრულზე, საქმის წარმოება გაუგებარ ენაზეა და სხვ.

გასაბჭოების შემდეგ პროპაგანდა სწარმოებდა მეგრულ ენაზე, სამეგრელოს ყველა მუშაკები დიდიდან პატარამდე ნამდვილი მეგრელები არიან, ლაპარაკობენ მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე კამპანია ჩატარებული ყოფილიყოს მოსახლეობისათვის გაუგებარ ენაზე. კანცელარიაში საქმის წარმოება ქართულ ენაზეა, რადგან არ არის და არც ყოფილა მეგრული მწერლობა.

რაც შეეხება ქართულ ცენტრების ზეგავლენას, რომლებიც ატარებენ „იმპერიალისტურ პოლიტიკას", რისთვისაც დახურეს მეგრული ბეჭვდითი ორგანო „ნოთე", აუცილებლად უნდა ითქვას შემდეგი: ჯერ ერთი, ეს გაზეთი პირდაპირ დაცინვაა მშრომელი ხალხის სულიერზე, რადგან მას სრულებითაც არ დაუვალებია კომპანია „მაფალუ"-სათვის განხორციელება მეგრელთა მასების წრეებიდან გამომდინარე სურვილის განხორციელება მეგრული ბეჭვდითი ორგანოს შექმნის შესახებ. ამაზე უნდა ელაპარაკათ ადგილობრივ ამორჩეულ ორგანოებს და კომუნისტურ პარტიას, მშრომელი მასის ნამდვილ წარმომადგენლებს. მეორე, როგორ შეიძლებოდა მეგრულ უდღეურ გაზეთ „ნოთე"-ს გამოცემა, როცა არ არის მეგრული ლიტერატურა, მეგრული მწერლობა. სიტყვები, რომელთაც შეხვდებოდით გაზეთ „ნოთე"-ში, გაუგებარი იყო სამეგრელოს მოსახლეობის ფართო მასებისათვის. აქედან ნათელია, რომ გაზეთი „ნოთე" ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა იმ მიზნის მიღწევას, რომელსაც საზოგადოთ ისახავს თვითეული გაზეთი. ბუნებრივია, რომ პირველივე ნომრით უნდა მოღებოდა ბოლო ამ უდღეურ „ნოთე"-ს არსებობას. მესამე, არავითარ ზეგავლენას არ ჰქონია ადგილი ქართულ ცენტრების მხრივ „ნოთე"-ს დახურვაზე, ის დახურულ იქნა ადგილობრივი ხელისუფლების და პარტიულ ორგანოს მიერ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ცენტრი გაიგებდა „ნოთე"-ს გამოსვლას. რა შუაშია აქ ქართულ „იმპერიალისტურ ცენტრის" ზეგავლენა, თუ ბუკიას, ბასილაიას ახალაიას კომპანია არ სთვლის ადგილობრივ ამორჩეულ ორგანოებს და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას სამეგრელოს მშრომელ მასების წარმომადგენლებად? ეყოფათ ასეთი ლაპარაკი შეძლებულ თავადების დადიანების მემკვიდრეებს. თქვენთვის არავის მიუცია სამეგრელოს მშრომელთა სახელით ლაპარაკის უფლება. 804 წლის ტრაქტატის დამცველებს ადგილი არ აქეთ საბჭოთა სამეგრელოში და მე დარწმუნებული ვარ, რომ მშრომელი მასა ღირსეულად გაუმასპინძლდება ვოსტორგოვ-იანოვსკის მემკვიდრეებს. ზიზღი მეგრელ ავტონომისტებს, რომლებიც ატარებენ რეაქციონურ პოლიტიკას.

ბ. შოგირაძე.

---

*) „მაფალუ"—ეს არის აშორდია—გაგუების ავანტიურისტული ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდენ იანოვსკი-ვოსტორგოვები; ეს ჯგუფი ქადაგებდა საქართველოდან სამეგრელოს ჩამოშორების იდეას, თითქოს მისი აღორძინების მიზნით, ნამდვილათ კი იმისათვის, რომ გაეტარებია თვითმპყრობელობის რეაქციონური იდეა—„[illegible]" და „ბატონე". მოკლეთ რომ ვსთქვათ „მაფალუ" არის „რუსეთის ხალხის კავშირის" განყოფილება, მისი მემკვიდრეები კი ამჟამათ ზუგდიდში არიან ბუკია, ბასილაია, ახალაია და ძმანი მათნი.

## რამოდენიმე შენიშვნა ადგილობრივი ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ სამკურნალო დარგში

მთელი საექიმო-სასანიტარო საქმე მაზრებში უკვე 1922 წლის აპრილიდან გადატანილია ადგილობრივი ხარჯზედ. ამით მისი განვითარების ბედი სავსებით დამოკიდებულია ადგილობრივ ხარჯთ-აღრიცხვაზე. ხარჯთ-აღრიცხვა ეხება როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიურ მედიცინას (სასანიტარო-საეპიდემიო, დედათა და ბავშვთა დაცვა და სხვა). ამ წერილში ჩვენ შევეხებით უმთავრესად სამკურნალო დარგს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს მრავალი მხრიდან მოსდის ჯანმრთელობის ინსპექტორებისაგან ცნობები, რომ 1925—26 წლების ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს არ ექცევა სათანადო ყურადღება. რასაკვირველია, შეუძლებელია ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში მხოლოდ ძირითადი აუცილებელი საჭიროებანი.

საჭიროა სამკურნალო საქმეს სამაზრო ხარჯთ-აღრიცხვაში ეკავოს განსაზღვრული ადგილი. მას ხმარდებოდეს განსაზღვრული პროცენტი შემოსავლისა. ეს პროცენტი საშუალოთ ერთი მეხუთედს მაინც უნდა უდრიდეს. თუ მთავარი მოთხოვნილებები ჩვენი დარგისა უკვე დაკმაყოფილებულია წარსულში, გვეყოფა ნაკლებიც. სრულიად მიუღებელია, როდესაც ჯანმრთელობის დარგს მხოლოდ ერთ მერვედს ან მეათედ ნაწილს აკუთვნებენ. ძირითადი მოთხოვნილებები დაუფარავი დარჩება.

ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვა უნდა გაიყოს ქალაქის და სოფლის შუა ისე, რომ უკანასკნელის ინტერესები სავსებით იქნეს დაცული. ეს ორი ნაწილი ხარჯთ-აღრიცხვისა უნდა იქნეს ცალ-ცალკე „დაჯგუფული".

მაზრის ყველა ცალკე სამკურნალო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მიკუთვნილი თავისი მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვა. უნდა საბოლოოთ მოისპოს დაწესებულებების ნაწილობრივ სამკურნალო ანგარიშზე ყოფნა.

სამკურნალო დაწესებულებები უნდა მოქმედობდენ ყველასათვის უფასოთ და არავითარი შემოსავალი არ უნდა იქნეს ნაგულისხმევი და შეტანილი ხარჯთ-აღრიცხვა.

ეს საკითხი მეტად მწვავედ დგას. ყველგან (თბილისშიც) მოითხოვენ, რომ ხარჯთ აღრიცხვაში შეიტანონ საავადმყოფოების შემოსავალი. ეს სრულიად მიუღებელია. ჩვენი სამკურნალო ქსელი მეტად თხელია. საწოლების რიცხვი შეადგენს ნორმის ერთი მეათედ ნაწილს. არსებული საავადმყოფოები ვერ დააკმაყოფილებენ ვერც იმ ნაწილს მოსახლეობისას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აძლევს დახმარებას პირველ რიგში და უფასოდ: დაზღვეულების ოჯახებს, ღარიბ გლეხობას, წითელარმიელის ოჯახებს და სხვ. შეძლებული მოსახლეობა (სულალ ეს მცირე ნაწილია) მეორე რიგშია. ფულის გადამხდელი ავადმყოფები საბჭოთა საწოლებზე არ მიიღებიან (მათთვის უნდა შტატ-გარეთი საწოლები დაარსდეს სამკურნალო ანგარიშზედ).

ჯანინსპექტორთა მე-2-რე ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომ საბჭოთა ქსელი მოქმედებდეს უფასოთ. ასეთ მოთხოვნილებას ვხვდებით მუშათა და გლეხთა ინსპექცია. მაშასადამე ხარჯთ-აღრიცხვაში არ უნდა იქნეს შეტანილი საბჭოთა საავადმყოფოების შემოსავალი, რადგანაც არ უნდა იქნეს არავითარი შემოსავალი საშტატო საწოლებისაგან.

ხარჯთ-აღრიცხვამ უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის იმ კატეგორიების სხვადასხვა სახის დახმარების ხარჯები, რომელნიც კანონით იღებენ ასეთ დახმარებას უფასოთ: დაზღვეულები და სხვა. ხარჯები წამლეულობის უფასო გაცემისა, ბინაზე დახმარების და სხვა.

ზოგ აღმასკომს არ შეაქვს ხარჯთ-აღრიცხვაში დაზღვეულთა დახმარების ხარჯები. რა უნდა ეწოდოს ამაზე? მხოლოდ ის, რომ აქ ირღვევა სრულიად ნათელი კანონი. [illegible] დამზღვევ სალაროების პროცენტულ ანარიცხებზე [illegible]. ძირითადი ხარჯები [illegible], ანარიცხები კი მიზნეულია დამატებით საქმის გაუმჯობესებისათვის. ასეთია დებულება.

კერძოთ უნდა გათვალისწინებული იქნეს საექიმო პუნქტებიდან ყოველდღიური უფასო წამლების გაცემა ღარიბ მცხოვრებზედ. ამით უნდა დავკმაყოფილდეთ წელს.

უნდა გათვალისწინებულ იქნეს ხარჯთ-აღრიცხვაში საექიმო პერსონალის რაოდენობა, მინიმალური მაინც. რასაკვირველია, ნორმაზედ ლაპარაკი ზედმეტია. საექიმო პუნქტებზედ საჭიროა, 4 თანამშრომელი: ექიმი, თანაშემწე, ბებია და დარაჯი. ზოგ მაზრაში ბებიას აკლებენ. ზოგან დარაჯს. ვინ უნდა მოუაროს საექიმო პუნქტს, თუ დარაჯი არ იქნება. იყო კი წარსულში პუნქტები (და ეხლაც არის), სადაც ექიმები თავისი ხელით გვიდნენ ოთახებს. ბებიების შესახებ უნდა ვსთქვათ შემდეგი. ისინი სუსტათ მუშაობენ, მოსახლეობა თავისი შეუგნებლობით სოფლის ბებიებს არჩევს. მეორე მხრით, ჩვენი ბებიები იღებენ რა თვეში 30 მანეთამდე, რასაკვირველია, გასამრჯელოს ითხოვენ. ეს აფერხებს საქმეს. მაგრამ მომავლისთვის მათი ლიკვიდაცია კი არ არის საჭირო, არამედ იმ მოვლენათა გადალახვა, რაიც საქმეს ხელს უშლის, სანიტარული განათლება მოსახლეობისა და ბებიების უსასყიდლოთ მოღვაწეობა. საჭიროა შევინახოთ ბებიათა შტატი ყოველ საექიმო პუნქტზედ.

ზოგან არ შეაქვთ ხარჯთ-აღრიცხვაში ექიმი სპეციალისტები: საექიმო-სამოსამართლო ექსპერტი, სასანიტარო, დედათა და ბავშვთა დაცვის ინსპექტორი. ამ დარგების განვითარება უსპეციალისტოთ შეუძლებელია. ზოგან (ავტონ. რესპ. სამხ. ოსეთისა) საექიმო პუნქტიც საფერშლოთ იქცა. ეს მიუღებელია.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითებს ჩვენს სასიხარულოთ საყოველთაო ხასიათი არ აქვს. ისინი წარმოადგენენ მხოლოდ უარყოფითი ნიმუშებს სხვა და სხვა მაზრებში. რაც დრო გადის მეტ ყურადღებას ვხედავთ ჩვენი დარგისადმი ადგილობრივი ხელისუფლების მხრივ. ჯანმრთელობის დარგს ახლო გაცნობა უნდა, თორემ პირველ შეხედვით ის სიმპატიას ვერ იწვევს, მოითხოვს მხოლოთ გასავალს და გასავალს. ამას ვერ ვურიგდებით, რომ ეს ასეა, მაგრამ საექიმო-სასანიტარო საქმეს აქვს ერთი ისეთი შემოსავალი, რომელიც არც ერთ ხარჯთ-აღრიცხვაში არ დაეტევა. ეს არის მოსახლეობის, მშრომელის ჯანმრთელობა, მისი ჯანი და ღონე, საფუძველი შრომისა და პროდუქციისა..

ექ. ა. გოცირიძე.

# რადიო-დეპეშები

(ამიერ კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ცნობები)

## ყვითლების ბანაკში

### გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა

### ოპოზიციის წარმომადგენელთა სიტყვები

**ჰეიდელბერგი.** 15 სექ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის 15 სექტემბრის სხდომაზე გამოვიდენ ოპოზიციის წარმომადგენლები.

ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი რეზოლიუცია სამარცხვინო ბოძზე აკრავს პარტიის პრეზიდიუმს კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკაზე უარის თქმისათვის და მოითხოვს პრეზიდიუმში მუშური შემადგენლობის გაძლიერებას. მეორე რეზოლიუცია აფრთხილებს პარტიას არ დაუჭიროს მხარი საგარანტიო ხელშეკრულებას და მიუთითოს ომის საშიშროებაზე საბჭოთა კავშირის მიმართ ინგლისის მტრულ პოლიტიკასთან და „ევროპის მიმართ საბჭოთა კავშირის იმპერიალისტურ ზრახვებთან" დაკავშირებით.

ფრანკფურტის ოპოზიციის წარმომადგენელმა დიზმა სასტიკად გაილაშქრა პრეზიდიუმის მომხსენებლის შტელიწგის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ „ჩვენში პასუხისმგებლობა წითელი დროშის წინაშე უფრო ძლიერია, ვიდრე რესპუბლიკანური დროშის წინაშეო". დიზის ეს სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა. დიზმა აღნიშნა ფრანკფურტის ორგანიზაციის პროლეტარული შემადგენლობა.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქსონიის ყოფილი მინისტრი ფლეისნერი, რომელმაც მოუწოდა ყრილობას ნუ აუვლის გვერდს პარტიის გაბრწნის ნამდვილ მიზეზებს. შემდეგ ფლეისნერმა დაგმო ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა პარტია პრეზიდენტის არჩევნების დროს და განაცხადა:

„ჩვენ ვსაჭიროებთ მუშათა მასების დახმარებას, რომ მივაღწიოთ საბოლოო მიზანს, რომელსაც წარმოადგენს სოციალისტური რესპუბლიკა".

ბერლინის ორგანიზაციის წარმომადგენელმა კიუნსტლერმა აღნიშნა, რომ მუშებისათვის დღემდისაც გაუგებარია, თუ რამ გამოიწვია სოციალ-დემოკრატიული პარტიის კაპიტულიაცია პრეზიდენტის არჩევნების დროს. შეთანხმებული მუშაობა ცენტრის პარტიასთან დაუშვებელია, რადგან ის ეწინააღმდეგება პროლეტარიატის ინტერესებს და სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაზრისს რესპუბლიკის საკითხში.

საქსონიის ორგანიზაციის წარმომადგენელმა ლიბმანმა გააკრიტიკა „ნაციონალური მთლიანობის" პოლიტიკა, რომელსაც ცხოვრებაში ატარებს პარტია და აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატიის გადასვლა ოპოზიციის ბანაკში (უკანასკნელ ხანებში) მოხდა მხოლოდ მისი პარტიული მოწინააღმდეგების ზეგავლენით.

შეეხო რა პარტიის ზოგიერთი ლიდერების მიერ სპეკულიანტ ბარმატისაგან ქრთამების მიღებას, ლიბმანმა განაცხადა, რომ ბაუერის, ჰეილმანის, ველსის და სხვების საქმე შექმნეს არა ბურჟუაზიულმა პარტიებმა, არამედ თვით მათ—პარტიის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა, რომლებსაც ასეთი „საქმეებისათვის" ომამდი, პარტიაში სიწმინდის დაცვის მიზნით, დაუყონებლივ გადააყენებდენ.

ლიბმანის სიტყვა მქუხარე ტაშმა დაფარა. ველსი „მორცხვად" იღიმებოდა.

## საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

### გერმანიის მიწვევა კონფერენციაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

**ბერლინი,** 15 სექტ. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი შტრეზემანი საფრანგეთის ელჩის შემდეგ ინახულა ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა და გადასცა მას ინგლისის მთავრობის სახელით, რომ გერმანია მიწვეულია მინისტრთა კონფერენციაზე, რომელიც განიხილავს საგარანტიო ხელშეკრულების საკითხს.

### როგორ გაუგზავნეს გერმანიას ცნობა კონფერენციაზე მიწვევის შესახებ.

**რომი,** 15 სექტემბერი. „პოპოლო დ'იტალია" აქვეყნებს ჟენევიდან მიღებულ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ გაუგზავნეს გერმანიის კონფერენციაზე მიწვევის ცნობა. მიწვევა გაგზავნილი იყო შაბათს, დილით ისე, რომ იტალიას არ ჰქონდა განცხადებული თანხმობა ამაზე. იტალიის მთავრობის განცხადება ჩამოიტანა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გრანდიმ მხოლოდ შაბათ საღამოს.

### საგარანტიო ხელშეკრულება და იტალიის პოზიცია.

**რომი,** 15 სექტ. რომის გავლენიან წრეებში ფიქრობენ, რომ თუ ინგლისი დაიჟინებს, რომ საგარანტიო ხელშეკრულება ეხებოდეს მხოლოდ რეინს, ე. ი. გერმანიის დასავლეთ საზღვარს, იტალია მაინც მოაწერს ხელს ხელშეკრულებას ყოველივე შენიშვნის გარეშე.

## სესხი გერმანიისათვის

**ბერლინი,** 15 სექტ. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული გაზეთები აცხადებდენ, რომ საიმპერიო ბანკის დირექტორის შახტის ჩასვლას ლონდონში არავითარი პოლიტიკური მიზანი არ აქვს, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა გაიგო სარწმუნო წყაროებიდან, რომ ლონდონში მართლაც შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრენ შახტი, ინგლისის ბანკის დირექტორები მონტეგიუ და, ნორმანი და სარეპარაციო საქმეთა გენერალური აგენტი ჯილბორ პარკერი. ირჩეოდა საკითხი გერმანიისათვის ახალი სარეპარაციო სესხის მიცემის შესახებ.

როგორც სჩანს, გერმანიის კრედიტორები დიდათ არ იწონებენ აზრს ახალი სესხის შესახებ და ურჩევენ გერმანიის მთავრობას სხვა გზები გამოძებნოს კრედიტების საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

## დე-მონზი პრუსიის განათლების მინისტრთან

**ბერლინი,** 15 სექტ. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ საფრანგეთის სახალხო განათლებას მინისტრი დე-მონზი, რომელიც ამ ჟამად იმყოფება გერმანიაში, ეწვია პრუსიის სახალხო განათლების მინისტრს ბეკერს. ბეკერმა დე-მონზის გაუმართა საუზმე, რომელსაც დაესწრენ პრუსიის პრემიერი ბრაუნი, საფრანგეთის ელჩი გერმანიაში დე-მარჟერი, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლები და სხვ.

დე-მონზის მიესალმა ბეკერი და განაცხადა, რომ მეცნიერება ინტერნაციონალურია, მაგრამ სამეცნიერო მუშაკები სხვადასხვა ერებს ეკუთვნიან, ამიტომ მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობა ფერხდება იმ შემთხვევაში, როცა ერებს შორის წარმოიშვება კონფლიქტი.

საპასუხო სიტყვაში დე-მონზიმ მიუთითა იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც აფერხებდა კავშირს გერმანელ და ფრანგ მეცნიერებს შორის.

## პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა

**რიგა,** 15 სექტ. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, ლიტვის დელეგაციის თავმჯდომარემ კოპენგაგენში სიდზიკოვსკიმ კოვნოში დაბრუნების შემდეგ გაუკეთა ლიტვის მთავრობას მოხსენება, რომელშიც აღნიშნა, რომ პოლონელები დათანხმდენ ლიტველების ყველა წინადადებებზე და უარი სთქვეს თავიანთ მოთხოვნილებაზე საკუთარი საკონსულოს მოწყობაზე მემელში. საკონსულოს მაგიერ უნდა დაარსდეს კომერციული სააგენტო. ლიტვის სეიმის კომისია და მინისტრთა კაბინეტი ემხრობიან ხელისმოწერას შეთანხმებაზე, მაგრამ, როგორც გავრცელდა ხმები, პრეზიდენტმა სტულგინსკიმ უარი განაცხადა შეთანხმების დამტკიცებაზე.

ლიტვის მთავრობის დათანხმებამ მემელში პოლონეთის კომერციულ სააგენტოს დაარსებაზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ლიტვაში. ხმებია, რომ გადადგენ პრემიერი პეტრულისი და გარეშე საქმეთა მინისტრი ჩორინსკი—პოლონეთთან შეთანხმების ინიციატორები.

## ჩინეთის ამბები

### სამთომადნო მუშების გაფიცვა ჩინეთში.

პეკინი, 15 სექტ. ჩინეთში გრძელდება სამთომადნო მუშების გაფიცვა. გაფიცულებმა მოაწყვეს საკონტროლო რაზმები, რომლებმაც უნდა დაიცვან კავშირის შენობა და არ დაუშვან სამუშაოზე შტრეიკბრეხერები. 13 სექტემბერს პოლიციამ დაიკავა კავშირის შენობა, მაგრამ შენობას მიადგა 10,000 გაფიცული, რომლებმაც წინადადება მისცეს პოლიციას დაეცალა შენობა. გაიმართა ბრძოლა, რომლის დროს პოლიციელები ისროდენ ჰაერში. რამდენიმე ხნის ბრძოლის შემდეგ პოლიცია იძულებული გახდა დაეცალა შენობა.

გენერალმა ლი-ჩეი-ლინმა გაგზავნა მაღაროებში 300 ჯარისკაცი „წესრიგის დასაცავად".

### დემონსტრაცია 7 სექტემბერს მომხდარ ხოცვა-ჟლეტის გამო.

პეკინი, 15 სექტ. პეკინის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მახლობელ კვირას მოაწყობენ საერთო ფართო დემონსტრაციას შანხაიში 7 სექტემბერს (ბოქსიორების აჯანყების 25 წლისთავზე) მომხდარ ხოცვა-ჟლეტის გამო.

კომპარტიის პეკინის ორგანიზაციამ გამოუშვა ფურცელი, რომელიც შეეხება ამ ხოცვა-ჟლეტას. სტუდენტების კავშირმა დაგზავნა ცირკულიარული საპროტესტო დეპეშები.

## რეაქციის თარეში

### ბულგარეთი

### აჯანყებულთა მოძრაობა

ვენა, 15 სექტემბერი. ბულგარეთის ბურჟუაზიული პრესა იტყობინება, რომ აჯანყებულთა რაზმებმა გააცხოველეს მოქმედება ხერგიევის რაიონში.

ამის გამო, გაზეთი აღნიშნავს, რომ ბულგარეთის კომპარტია კვლავ კრებს თავის ძალებს, რაზედაც მთავრობამ უნდა უპასუხოს ენერგიული რეპრესიებით.

### რუმინეთი

### რუმინეთის პროფკავშირთა მუშაკების შიმშილობა

ვენა, 15 სექტ. მეთოთხმეტე დღეა გრძელდება რუმინეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა დაპატიმრებულ მუშაკების შიმშილობა.

„ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის" რუმინეთის სექციის გენერალურმა მდივანმა ვექილმა კოსტაფორუმ გამოაქვეყნა გაზეთ „ადევერულ"-ში ღია ბარათი რუმინეთის მეფისადმი, რომელშიაც ის მოითხოვს დაუყონებლივ გამოძიებულ იქნეს პროფკავშირთა მუშაკების უკანონოდ დაპატიმრება.

### კამპანია რუმინეთის გლეხთა პარტიის წინააღმდეგ

ვენა, 15 სექტ. რუმინეთის რეაქციონურ გაზეთის „კუვანტულ"-ის ცნობით, კიშინიოვის „ოხრანკა"-მ ამასწინად დააპატიმრა, თითქოს ბესარაბიელი კომუნისტი აბრამ ფინხელი, რომელსაც აბრალებენ გლეხთა ინტერნაციონალის მოწოდებათა გავრცელებას ბესარაბიელ გლეხებს შორის.

გლეხთა ინტერნაციონალის მოწოდებებს იყენებს მთავრობის პრესა, რომ დაიწყოს ახალი კამპანია რუმინეთის გლეხთა პარტიის წინააღმდეგ.

მთავრობის პრესის გალაშქრების საპასუხოდ გლეხთა პარტიის ორგანო „ავრორა" აღნიშნავს, რომ კიშინიოვის პროცესზე ბრალდებულთა სკამზე უნდა ისხდენ რუმინეთის მთავრობის წევრები და ბესარაბიის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებმაც შარშან გამოიწვიეს აჯანყება.

### ინგლისი

### შეტაკება კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის

ლონდონი, 15 სექტ. 14 სექტემბერს საღამოს ლონდონის ქუჩებში ადგილი ჰქონდა შეტაკებას კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის.

შეტაკება ფაშისტების დამარცხებით დამთავრდა. ეს შეტაკება უფრო სერიოზული იყო, ვიდრე ამას წინად მომხდარი შეტაკება.

## პოლონეთ-რუმინეთის კონფლიქტი

ვენა, 15 სექტემბერი. იმის გამო, რომ რუმინეთმა გაადიდა ბაჟები საქონლის შეზიდვაზე, რუმინეთის მთავრობასა და პოლონეთს შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რადგან ბაჟების გადიდება აძნელებს პოლონეთის ნახშირის ექსპორტს რუმინეთში.

„გაზეთ „დიმინეატა"-ს სიტყვით, შეიძლება ჩაიშალოს სავაჭრო ხელშეკრულება პოლონეთთან.

# მეორე სახელმწიფო მოგებიანი სესხის მეოთხე ტირაჟი

## ოფიციალური ცხრილი

### მე-2 სახელმწიფო მოგებიანი სესხის მოგებათა მე-IV ტირაჟისა

16 სექტემბრის დილის სხდომაზე სატირაჟო კომისიის მიერ გათამაშებულია 2,200 მოგება, თვითეული 50 მანეთის ღირებულებისა. **მოგება ხვდა 20-ე** სერიის ობლიგაციების ქვემოთ ჩამოთვლილ ნომრებს:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 0.008.980 | 0.151.641 | 0.429.454 | 0.579.821 | 0.703.358 | 0.884.004 |
| 0.012.953 | 0.175.920 | 0.431.893 | 0.584 501 | 0.709.132 | 0.886.195 |
| 0.014.635 | 0.181.132 | 0.446.374 | 0.601.408 | 0.715.439 | 0.888.325 |
| 0.016.518 | 0.198.384 | 0.447.138 | 0.605.394 | 0.717.372 | 0.891.440 |
| 0.020.527 | 0.200.383 | 0.459.185 | 0.616.357 | 0.719.139 | 0.897.934 |
| 0.025.315 | 0.205.054 | 0.459.936 | 0.619.245 | 0.724.907 | 0.900.173 |
| 0.027.590 | 0.226.896 | 0.462.506 | 0.625.623 | 0.729.522 | 0.913.275 |
| 0.036.746 | 0.237.477 | 0.468.242 | 0.627.198 | 0.753.962 | 0.914.823 |
| 0.039.501 | 0.246.369 | 0.494.065 | 0.629.600 | 0.775.139 | 0.923.451 |
| 0.052.559 | 0.268.159 | 0.494.580 | 0.638.480 | 0.788.961 | 0.950.064 |
| 0.064.930 | 0.307.737 | 0.504.357 | 0.639.315 | 0.790.681 | 0.962.960 |
| 0.079.901 | 0.318.349 | 0.510.054 | 0.651.825 | 0.791.643 | 0.974.090 |
| 0.086.343 | 0.339.274 | 0.549.169 | 0.660.154 | 0.801.066 | 0.992.277 |
| 0.092.548 | 0.339.950 | 0.551.285 | 0.664.868 | 0.802.357 | 0.994.794 |
| 0.095.067 | 0.341.222 | 0.556,196 | 0.666.831 | 0.811.469 | 0.995.810 |
| 0.101.565 | 0.361.341 | 0.559.158 | 0.667.184 | 0.814.530 | |
| 0.110.010 | 0.375.949 | 0.565.906 | 0.669.004 | 0.838.522 | |
| 0.119.790 | 0.400.920 | 0.573.577 | 0.690.480 | 0.850.090 | |
| 0.120.564 | 0.429.094 | 0.575.750 | 0.698.460 | 0.877.690 | |

16 სექტემბრის საღამოს სხდომაზე სატირაჟო კომისიის მიერ გათამაშებულია 1.600 მოგება.—თვითეული 50 მანეთის ღირებულებისა. **მოგება ხვდა** 20-ე სერიის ობლიგაციების ქვემო ჩამოთვლილ ნომრებს:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 0.001.251 | 0.194.658 | 0.364.695 | 0.553.555 | 0.692.360 | 0.869.423 |
| 0.009.046 | 0.232.755 | 0.403.495 | 0.557.460 | 0.710.286 | 0.880.611 |
| 0.015.412 | 0.237.080 | 0.418.835 | 0.595.494 | 0.714.464 | 0.885.998 |
| 0.022.526 | 0.241.071 | 0.429.147 | 0.602.825 | 0.719.483 | 0.901.713 |
| 0.023.876 | 0.242 191 | 0.484.976 | 0 632.599 | 0.736.632 | 0.930.878 |
| 0.040.615 | 0.267.655 | 0.453.504 | 0.645.027 | 0.748.254 | 0.947.342 |
| 0.056 349 | 0.293.343 | 0.467.306 | 0.650.926 | 0.764.877 | 0.959.042 |
| 0.077.891 | 0.296.381 | 0.483.176 | 0.655.596 | 0.770.089 | 0.964.828 |
| 0.123.854 | 0.310.089 | 0.494.875 | 0.658.568 | 0.790.821 | 0.973.666 |
| 0.126.851 | 0.311.433 | 0.510.068 | 0.662.841 | 0.798.081 | 0.994.195 |
| 0.129.061 | 0.317.041 | 0.528.126 | 0.668.011 | 0.799.237 | |
| 0.189.137 | 0.318.536 | 0.538.381 | 0.671.353 | 0 799.944 | |
| 0.189.270 | 0.328.798 | 0.547.392 | 0.681.799 | 0.805.624 | |
| 0.189.569 | 0.348.243 | 0.553.088 | 0.691.738 | 0.844.018 | |

მოგებათა გაცემას აწარმოებენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი შემდეგი გაზეთების—„Известия ЦИК СССР“, „Заря Востока“-ს და „კომუნისტი“-ს იმ ნომრების გამოსვლის სამი დღის შემდეგ, ხოლო ადგილებზე-კი მიღებიდან 3 დღის შემდეგ, სადაც გამოქვეყნებული არის მოგებათა ოფიციალური ცხრილები.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე **ელიავა**
სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ოზოლინი**
წევრები: **ხვედევსკი, საფარიანი, მიქელაძე, ზურიკიძე, ბუზნიკოვი, ფანცხავა, გრიგოლია, ოტროშლიანკო, პეტროვი.**

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი | **სოკოლოვი, ახმაროვი.**

მდივანი: **ვდოვინსკი.**

# განმარტებანი სახელმწიფო სესხის შესახებ

ტირაჟის დროს სატირაჟო კომისიაში შემოდის აუარებელი წერილობითი შეკითხვები სახელმწიფო სესხების და ტირაჟის ტექნიკის შესახებ, რომლებზედაც სატირაჟო კომისიის წევრები დაუყოვნებლივ იძლევიან ზეპირ პასუხს.

რადგან ბევრ საკითხს 'ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს', ჩვენ ვხსნით სპეციალურ განყოფილებას, სადაც მოთავსებული იქნება პასუხი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შეკითხვებზე.

**კითხვა:** რაში გამოიხატება არსებული ახალი კურსი სახელმწიფო კრედიტის დარგში?

**პასუხი:** პირველად საბჭოთა სესხები გამოშვებული იყო მძიმე ფინანსიური ნგრევის პერიოდში, რის გამო საბჭოთა მთავრობას იძულებითაც უნდა გავერცელებია ზოგიერთი სესხი. ამან ხელი შეუწყო სახელმწიფოს ფინანსების განმტკიცებაში და შესაძლებელი გახადა ფულის რეფორმის განხორციელება—მტკიცე ვალიუტაზე გადასვლა. ამჟამად საერთო სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცების გამო, საბჭოთა მთავრობა უშვებს სესხებს ნამდვილ ნებაყოფლობითი საფუძველზე და ერთხელ და სამუდამოდ ხელს იღებს სესხის იძულებით გავრცელებაზე. ობლიგაციის შეძენა დამოკიდებულია თვითეული მოქალაქის სურვილზე.

**კითხვა:** რა საჭიროებას ხმარდება სახელმწიფო სესხების გზით მოგროვილი თანხები?

**პასუხი:** საბჭოთა მთავრობის წინაშე დასმულია ამოცანათა მთელი რიგ სამუშაოების შესრულება, სახალხო მეურნეობის აღდგენის დარგში.

ამიტომ საჭიროა დიდძალი თანხების გაღება მეურნეობის სხვადასხვა დარგების საჭიროებათათვის ახალი გზების გასაყვანად, ახალი ფაბრიკა-ქარხნების, სკოლების, საავადმყოფოების ახაშენებლად და სხვა. ამ თანხების მიღება მთავრობას შეუძლია მხოლოდ შიგნით სესხების გამოშვების გზით. მაშასადამე, სახელმწიფო სესხების მიზანია ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლება.

**კითხვა:** სად და როგორ შეიძლება ეხლა სესხის ობლიგაციების ყიდვა?

**პასუხი:** ობლიგაციის ყიდვა შეიძლება ქ. თბილისის და ამიერკავკასიის სხვა ქალაქების თვითეულ საკრედიტო დაწესებულებაში და აგრეთვე ყველა შემნახველ სალაროებში.

ტირაჟის დროს ობლიგაციები იყიდება აგრეთვე იმშენობაში, სადაც სწარმოებს ტირაჟი.

ობლიგაციები იყიდება ყველაზე განუსაზღვრელი რაოდენობით.

**კითხვა:** რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება მოგების მიღება?

**პასუხი:** როგორც მოგებათა, ისე პროცენტების მოსათხოვნად ობლიგაციების მეპატრონეთა სასარგებლოდ კანონით დაწესებულია საერთო სამოქალაქო ვადა—სამი წელიწადი. ეს იმას ნიშნავს, რომ ტირაჟის დღიდან სამი წლის განმავლობაში თვითეულ მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს პროცენტები და მოგება, რომელიც ხვდა მის ობლიგაციას.

**კითხვა:** რითი განირჩევა საბჭოთა მთავრობის სესხები მეფის სესხებისაგან?

**პასუხი:** მეფის სესხები ხმარდებოდა, უმთავრესად, პოლიციის, ჟანდარმერიის შენახვას, მემამულეთა მიწების დაცვას, ერთი სიტყვით, მემამულეების და კაპიტალისტების ინტერესების დაცვას და ხალხთა მასების ჩაგვრას.

საბჭოთა მთავრობა სახელმწიფო სესხებს ახმარს სახალხო მეურნეობას, მთელი მოსახლეობის ინტერესებს. მეფის სესხებს ავრცელებდენ განსაკუთრებით მოსახლეობის შეძლებულ წრეებში და უშვებდენ მსხვილ-მსხვილ ობლიგაციებად.

საბჭოთა სესხები, პირიქით, ვრცელდება მშრომელთა ფართო მასებში და გამოდის წვრილ-წვრილ ობლიგაციებად 1, 3, 5 და 10 მანეთის რაოდენობით და ზევით.

**კითხვა:** თუ არის მართალი, რომ სახელმწიფო სესხების ობლიგაციები წარმოადგენს ყველაზე ხელსაყრელ საშუალებას თავისუფალი თანხების შესანახავად?

**პასუხი:** მართალია, სახელმწიფო სესხების ობლიგაციებს მოაქვთ ყოველწლიური შემოსავალი კუპონებით. ამას გარდა ობლიგაციები მონაწილეობას ღებულობენ მოგებათა ტირაჟებში და შეუძლიათ დიდი თანხის მოგება. გარდა ამისა, სესხების კურსის განუწყვეტელ ზრდასაც დიდი სარგებლობა მოაქვს ობლიგაციების მეპატრონეებისათვის. ყველაფერი ეს ნათლად მოწმობს, რომ სესხების ობლიგაციები მართლაც საუკეთესო უტყუარ და ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენს თავისუფალი თანხების შესანახად.

# ბრძოლა მოსულისათვის

## ოსმალებმა გადალახეს სადემარკაციო ხაზი

**პარიზი**, 15 სექტემბერი. ჟენევიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის მთავრობამ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმალებმა მოსულის სადაო ტერიტორიაზე ალყა შემოარტყეს ქრისტიანთა სოფლებს და გარეკეს იქიდან მცხოვრებლები, რომელთა ნაწილი ჩავიდა ირაქში. ინგლისის კოლონიების მინისტრმა ემერიმ ეს საქმე გადასცა ერთა ლიგის საბჭოს.

**ლონდონი**, 16 სექტ. ლონდონის საღამოს გაზეთები პირველ გვერდზე ათავსებენ ცნობას ოსმალების მიერ სადემარკაციო ხაზის გადალახვის შესახებ. ცნობაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ოსმალები მოსაზღვრე სოფლებიდან ერეკებიან ქრისტიან მცხოვრებლებს. პრესის ცენტრალურმა სააგენტომ საღამოს გაზეთებში დაბეჭდა თავისი მეთვალყურის ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სადემარკაციო ხაზის ჩრდილოეთით თავმოყრილია ოსმალეთის 40.000 ჯარის-კაცი და რომ ოსმალები ამ დღეებში გადალახავენ საზღვარს. ოსმალები, ნათქვამია დეპეშაში, მიმართავენ წინსვლის ახალ საშუალებას, რომელიც ართულებს საზღვრების დაცვას. ოსმალების რაზმები წინ მიიწევენ ღამით. დღით კი თავს აფარებენ ხეობებს, რის გამო აეროპლანები ვერ ამჩნევენ მათ. მდგომარეობა, საღამოს გაზეთების აზრით, საშიშია. ოსმალეთის პრესა აცხადებს, რომ ომი აუცილებელი იქნება, თუ ერთა ლიგა ინგლისისათვის ხელსაყრელ დადგენილებას მიიღებს.

# ამხ. ლანცუცკის გასამართლება

**ვარშავა**, 15 სექტემბერი. 15 სექტემბერს ვარშავის საოლქო სასამართლოში ირჩეოდა ორი ახალი საქმე, აღძრული ლანცუცკის წინააღმდეგ.



ამხ. ლანცუცკი

პირველი საქმის მიხედვით, ლანცუცკის ბრალად ედება „სახელმწიფოს საწინააღმდეგო“ სიტყვის წარმოთქმა ვარშავაში გამართულ მიტინგზე; მეორე საქმის მიხედვით—ღია წერილის გამოქვეყნება პრემიერის საყურადღებოდ 1922 წლის საარჩევნო კამპანიის დროს.

პირველი საქმის დაწყებამდე დამცველმა დურახმა მოითხოვა საქმის მოსპობა ფორმალური ხასიათი მიზეზების გამო, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა დამცველის წინადადება.

ლანცუცკიმ თავი დამნაშავედ არ სცნო და განიმეორა თავისი სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს მიტინგზე 1924 წ. 27 აპრილს.

მოწმეების დაკითხვის და პროკურორის სიტყვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლანცუცკიმ, რომელმაც გაალაშქრა პოლონეთში ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ და თავისი სიტყვის დასასრულს განაცხადა: „**ვერავითარი განაჩენებით ვერ შეგვაშინებთ ჩვენ, კომუნისტებს. რამდენად მეტ დევნას დაგვიწყებთ, იმდენად მოახლოვდება კომუნიზმის გამარჯვების დრო. მე ვიცი, რომ როცა თქვენ მოდიოდით; ჯიბეში გქონდათ გამზადებული განაჩენი**“.

სასამართლომ ლანცუცკი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა სამი წლის კატორღა უფლებების აღკვეთით.



ციხე ლვოვში, რომელშიც მოთავსებული იყო ამხ. ლანცუცკი

მეორე საქმეში ლანცუცკი გამართლებულ იქნა.

როცა ლანცუცკი გამოიყვანეს სასამართლოდან ციხეში გასაგზავნად მუშების ერთმა ჯგუფმა მიაძახა: „გაუმარჯოს ლანცუცკის“. ამისათვის პოლიციამ იქვე დააპატიმრა ხუთი მუშა.

# თეთრგვარდიელებს შორის

## რუს ემიგრანტების კრება პარიზში.

**პარიზი**, 15 სექტ. შესდგა რუს ემიგრანტების კრება, რომელიც მოწვეული იყო ემიგრაციის ყრილობის მოსამზადებლად. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ტრეტიაკოვი, ტრეპოვი და კრუპენსკი.

ყრილობა გაიხსნა მიტროპოლიტ ევლოგიის სიტყვით, რომელიც მოუწოდებდა დამსწრეებს „საბჭოთა ტირანიასთან“ ბრძოლისაკენ.

ილაპარაკა მარკოვმა, რომელმაც სავსებით გამოამჟღავნა კრების ინიციატორების ფარული ზრახვები: „თუ ჩვენ მოვახერხებთ ფულის და დახმარების მიღებას უცხოეთის სახელმწიფოებისაგან და შევადგენთ არმიის რუსეთის საზღვრებთან, მაშინ სუყველა ჩვენთან იქნებაო“.

ალექსინსკიმ ყრილობაზე თან მოიყვანა ვინმე **იაკშინი**, ვითომ ციმბირელი გლეხი, რომელმაც განაცხადა, რომ „ის გამოგზავნილია, რათა სთხოვოს ყოფილ დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს დაბრუნდეს რუსეთში და აღადგინოს მართმადიდებელი წესწყობილება“.

კრების მიერ მიღებული რეზოლიუცია მოითხოვს ყველა იმ ემიგრანტების ყრილობის მოწვევას, რომელთაც სურთ რუსეთის განთავისუფლება კომინტერნის უღლისაგან და მისი აღდგენა, როგორც დიდი მთლიანი სახელმწიფოსი“.

არჩეულ იქნა კომიტეტი, რომელსაც ევალება ემიგრაციის ყრილობის მოწვევა.

# აღმოსავლეთში

## გეჯასი

### მედინა დაიკავეს ვახაბიტებმა

**ლონდონი**. 15 სექტ. ქაირიდან მიღებული ცნობით, ვახაბიტებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავეს მედინა.

ვახაბიტების მეთაურმა იბნ-საუდმა მოსთხოვა მორჩილება ქალაქის მიდამოებში მცხოვრებ ტომებს.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

### პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია

**მოსკოვი**, 16 სექტემბერი. 15 სექტემბერს გაიხსნა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია.

### მანქანები აღმოსავლური შრიფტით

**ლენინგრადი**, 16 სექტემბერი. სამექანიკო ტრესტი ამზადებს დიდძალ საწერ მანქანებს აღმოსავლური შრიფტით. მანქანები გაიგზავნება სპარსეთში და ოსმალეთში.

### საბჭოთა სამრეწველო ორგანიზაციები დანციგის ბაზრობაზე.

**ლენინგრადი**, 16 სექტემბერი. ლენინგრადის საფეიქრო-სამრეწველო ორგანიზაციები, მათ შორის ფაიფურის სახელმწიფო ქარხანაც, მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო გამოფენა ბაზრობაზე, რომელიც გაიხსნება 24 სექტემბერს დანციგში.

### პურის ექსპორტი

**ლენინგრადი**, 15 სექტ. 15 სექტემბერს ნავთსადგურში დაიწყეს საექსპორტო პურით 3 გემის დატვირთვა. ჯერ-ჯერობით პური იგზავნება შვეციასა, ნორვეგიასა და დანიაში. პურის ექსპორტი ევროპის უფრო შორეულ ნავთსადგურებში დაიწყება სექტემბრის ბოლო რიცხვებში. პურის პირველი პარტიის გაგზავნა საფრანგეთის ნავთსადგურებში განზრახულია ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

# ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია

## სოკოლნიკის გამასწორებელ სახლში

**მოსკოვი**, 16 სექტ. ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის ერთმა ჯგუფმა ინახულა სოკოლნიკის გამასწორებელი სახლი, სადაც დაწვრილებით გაიცნო გამასწორებელ სახლში შექმნილი რეჟიმი და კულტურულ-განმანათლებელ აღზრდის მეთოდები. დელეგატებმა მნახველთა წიგნში ჩასწერეს შემდეგი:

„ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაფერმა იმან, რაც ვნახეთ სოკოლნიკის გამასწორებელ სახლში. ადამიანური მოპყრობა და თავისუფალი რეჟიმი ახასიათებს საბჭოთა გამასწორებელ სახლებს. საზოგადოებრივი სამუშაოები ფართოდაა დაყენებული. საბჭოთა გამასწორებელი სახლები დიდათ განსხვავდებიან კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებისაგან, სადაც პატიმრებს ეპყრობიან ისე, როგორც მონებს‘‘.



უოლხედი
დელეგაციის თავმჯდომარე

ჯონს, ტეილორი, კოუტსი

### დელეგაცია ამხ. კრასინთან

**მოსკოვი**, 16 სექტემბერი. ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია ეწვია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. **კრასინს**, რომელმაც გააცნო დელეგაციას კომისარიატის მიმდინარე მუშაობა და საგარეო პოლიტიკის საკითხები. დელეგაცია განსაკუთრებით დაინტერესდა საბჭოთა ექსპორტის საკითხებით. შემდეგ დელეგაცია ეწვია მიწადმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს **ხვიდერსკის**, რომელმაც გააცნო დელეგატებს საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა.

# ბრძოლა მფლანგველობასთან კოოპერაციაში

**მოსკოვი**, 15 სექტემბერი. კოოპერატივთა საბჭოს მორიგ პლენუმზე მოსმენილ იქნა მოხსენება მფლანგველობის შესახებ კოოპერაციაში მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გაფლანგველობა კოოპერაციაში შეადგენს საშუალოდ მთელი ბრუნვის 0,38 პროცენტს; მიუხედავად იმისა, რომ მფლანგველობით კოოპერაციისთვის მიყენებული ზარალი ძლიერ მცირეა, ის დიდათ აფერხებს კოოპერატიულ პროპაგანდას, გულს უცრუებს მოსახლეობას. მფლანგველობის მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ადგილებზე საკმაო სიფრთხილეს არ იჩენენ პასუხისმგებელ პირების არჩევის დროს. მფლანგველობასთან ბრძოლას ძალიან აფერხებს ის გარემოებაც, რომ ძალიან გვიან ხდება სასამართლოს გამოძიება და აგრეთვე სასამართლოს სუსტი განაჩენები გამოაქვს გაფლანგვის და მითვისების საქმეების შესახებ.

# ყოფ. მენშევიკ-მუშა-ემიგრანტ. ჩამოსვლა საფრანგეთიდან

## ქართული ემიგრაციისა და კერძოთ მენშევიკური ემიგრაციის დაშლა.—ჩვენ ვაწყობდით საიდუმლო კრებებს, რომ თავი დაგვეღწია რამიშვილის აგენტებისაგან.—ამ კრებებზე ჩამოყალიბდა საბოლოოთ ჩვენი აზრი.—საბჭოთა სისტემა, პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენს შეგნებაში გახდა ერთად-ერთ გზად, რომელსაც შეუძლია ჩიხიდან გამოიყვანოს ევროპის მუშათა მოძრაობა.—საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა კოლონიის დაარსება.—ჩვენი პირველი შთაბეჭდილებანი საქართველოში.

გუშინ პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა ყოფ. მენშევიკ მუშა ემიგრანტების ერთი ჯგუფი. ჩამოსულთა შორის არიან: **ამხ. გ. სულაქველიძე, თ. დემეტრაშვილი, ნ. სხულუხია, გ. კრიჟაშვილი, ვ. ალიხანაშვილი ს. კალანდაძე და მ. მეკუა პროვინციაში დარჩენ.**

ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ჰქონდა საუბარი ჩამოსულ ამხანაგებთან სხვადასხვა საკითხებზე და განსაკუთრებით ისეთ კითხვებზე, რომელიც დაკავშირებულია ქართველი ემიგრაციის ცხოვრებასთან.



ნესტორ სხულუხია

ქართველი ემიგრაცია,—განაცხადეს ამხანაგებმა, როგორც ერთი მთლიანი,—საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ დარაზმული ერთეული, უკვე კარგა ხანია აღარ არსებობს. უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა საქართველოს საკითხის და ემიგრაციის მოღვაწეობის შესახებ წარმოიშვა კიდევ ემიგრანტობის პირველ წლიწადში. ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნების სინამდვილის გაცნობამ, იქაური „სოციალისტური“ პარტიების საქმიანობამ და ამავე დროს ქართველ მენშევიკ ოლიგარხების უპასუხისმგებლო და უტაქტო მოქმედებამ დაშალა და ცალცალკე ჯგუფებად დარაზმა არა მარტო ერთს დროს გაერთიანებული ემიგრანტული ფრონტი, არამედ თვით მენშევიკური ემიგრაციაც.

ის დეკლარაცია, რომელიც გამოაქვეყნა პარიზის მუშათა ჯგუფმა, არის აზრი არა მარტო ამ პატარა ჯგუფისა, არამედ მას იზიარებს ემიგრაციის დიდი ნაწილი, მაგრამ საფრანგეთის პოლიციის დახმარებით და ხელისშეწყობით [illegible] ძლიერია რამიშვილის ტერორი, რომ ემიგრანტობა იძულებულია გაჩუმდეს და უხმოდ დაემორჩილოს რამიშვილების ბრძანებას.

კერძოთ, რაც შეეხება ჩვენს ჯგუფს—ემიგრაციის მუშურ ნაწილს, ჩვენი ოპოზიცია ჩამოყალიბდა ჩვენი პარიზში ჩასვლის შემდეგ, როცა ჩვენ დაახლოვებით გავეცანით ჩვენი ყოფილი ბელადების საქმიანობას, მათს მიწერ-მოწერასა და კავშირს ყოველი ქვეყნის და ყოველი ჯურის რეაქციონერებთან. მაგრამ ჩვენი გაოპოზიციონერების მიზეზი არ ყოფილა ჩვენი ყოფილი ბელადების მხოლოდ უტაქტო და მუშური თვალსაზრისით გაუმართლებელი საქციელი, ბურჟუაზიული ქვეყნების სინამდვილის პირისპირ გაცნობამ, იქაურ მუშათა კლასის შრომის პირობების და ყოფაცხოვრების შესწავლამ, მათი პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებამ, ბურჟუაზიული სინამდვილის საბჭოთა სინამდვილესთან დაპირდაპირებამ მოახდინა ჩვენში დიდი პრინციპიალური გარდატეხა. საბჭოთა-სისტემა—პროლეტარული დიქტატურა ჩვენს შეგნებაში გახდა ერთად-ერთ გზად, რომელსაც შეუძლია არა მარტო რუსეთის მშრომელი მასების კულტურულ-ეკონომიური აღორძინება, არამედ ის არის ერთად-ერთი გზა, რომელიც ჩიხიდან გამოიყვანს მთელი ევროპის მუშათა მოძრაობას. ასეთი იყო ჩვენი დასკვნები ევროპაში მცირე ხნის ცხოვრების შემდეგ. ჩვენი დეკლარაცია არ ყოფილა, როგორც ბევრს გონია, უეცარი და მოულოდნელი გადაწყვეტილების შედეგი. დეკლარაციაში გამოთქმული მოსაზრებანი ალაძრენ ყოველ ჩვენგანში დამოუკიდებლად. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ აშკარა შეიქნა მუშური ჯგუფის ერთსულოვნება და აზრთა იგივეობა ყოფილი ბელადების მოქმედებებზე და საერთოდ, პოლიტიკურ საკითხებზე. ჩვენ ვიცოდით, თუ რა ძნელი იყო სიმართლის თქმა, ვიცოდით თუ რა საშინელ განსაცდელში ვიგდებდით თავს, მაგრამ უკან არ დავიხიეთ, გავმართეთ რამოდენიმეჯერ ფარული არალეგალური კრება, სადაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ის აზრი, რომელიც გამოქვეყნებულია ჩვენს დეკლარაციაში.



გიორგი კრიჟაშვილი

მოლოდინი ჩვენი გამართლდა. დაგვიწყეს დევნა. მოგვენათლეს მოღალატეებად. ჩვენ არ შევშინდით დადავიწყეთ მუშაობა საბჭოთა პლატაფორმაზე მდგომ ქართველთა კოლონიის შესაქმნელად.



ვანო ალიხანიშვილი

საქართველოს მუშა—გლეხებმა გაზეთების საშუალებით იციან, თუ როგორ უპასუხეს საბჭოთა კოლონიის შექმნის ცდას რამიშვილის აგენტებმა. 9 აგვისტოს ფრანგ პოლისმენების დახმარებით ისინი თავს დაესხნენ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა კრებას, მაგრამ მათმა ასეთმა „გამოლაშქრებამ“ ვერ შეაჩერა საბჭოთა კოლონიის შექმნის საქმე.

ა. წ. 22 აგვისტოს პარიზის მუშათა კოოპერატივის ერთ-ერთ შენობაში მოწვეულ იქმნა საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა მეორე კრება. არც ეს კრება გამოპარვიათ რამიშვილის „თვალებს და ყურებს“—მის აგენტებს და ფრანგ პოლიციელებს. კრებაზე მოხსენებას აკეთებდა ამხ. ვანო ალიხანაშვილი საბჭოთა კავშირის შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე. ამავე კრებაზე უნდა გარჩეულიყო კოლონიის შექმნის და ემიგრაციის შინ დაბრუნების ორგანიზაციის საკითხები. მოხსენების დროს ფრანგმა პოლიციელებმა, რომელნიც შენობას გარს ერტყენ, სცადეს დარბაზში შემოჭრა, მაგრამ ვერ გაბედეს. ✓

ამგვარად კრებამ მოისმინა მოხსენება და გადასჭრა წამოყენებული საკითხები. ამ კრებაზე უკვე დაარსდა საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა კოლონია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს დაუბრუნოს ქართველი მოქალაქეები ჩვენი ქვეყნის დიდ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

სხდომის დასასრულ—დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ პოლიციელებმა დააპატიმრეს კრების მთელი შემადგენლობა. საბჭოთა საელჩოს მოთხოვნილებით რამოდენიმე საათს შემდეგ კრების მონაწილენი განთავისუფლებულ იქნენ. ამგვარად მართული საბჭოთა კოლონიის შექმნის მოწინააღმდეგენი სასტიკად დამარცხდნენ.

საინტერესოა, თუ ვისგან შესდგება რამიშვილის „დამკვრელი ბატალიონი“: ეს გახლავთ ქართველი ემიგრანტული სტუდენტობა, და მათ შორის მენშევიკებიც, რომლებიც სტიპენდიას ღებულობენ რომის პაპისაგან სარწმუნოების და არსებული წესწყობილების დამცველი ფაშისტური ორგანიზაციის წევრობისათვის.

თუმც საბჭოთა ქვეყნებში და კერძოდ, საქართველოზე გავრცელებული ჭორები—განაცხადეს ამხანაგებმა,—ჩვენ ერთი იოტითაც არ გვჯეროდა უკანასკნელ ხანებში მაინც, მაგრამ იმას ვერ წარმოვიდგენდით, თუ ჩვენ საქართველოს ვნახავდით, ეკონომიურად ასე წელგამართულს, მის მოსახლეობას ასე მხიარულს და პირმომცინარს.

ბათომის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონია. ვნახეთ ხალხი,—ბევრი—ნაცნობები. არა მარტო შემოსილი, არამედ უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი. ყოველ ფეხის გადადგმაზე ჩვენ ვხვდებოდით დიდ ცვლილებებს. ჩვენ ველარ ვიცანით ჩვენს დროს გაპარტახებული ადგილები.

ახალი გზები, ახალი შენობები, არხები,—ელექტროსადგურები.—აი რას ვხედავდით და რის შესახებ გვესმოდა ჩვენ საუბარი საქართველოს ტერიტორიაზე,—ბათომიდან თბილისამდე.

# როგორ სცხოვრობენ ქართველი ემიგრანტები უცხოეთში

ამხ. სხულუხიამ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი ცნობები გადასცა ქართველი ემიგრანტების ცხოვრების შესახებ უცხოეთში:

—მენშევიკ-ემიგრანტები ამჟამათ თითქმის ყველა მუშაობენ. ზოგი ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობს, ზოგი სოფლის მეურნეობაში და ზოგი კიდევ სადგურებზე ბარგის მტვირთველებათ.

სხვათა შორის ერთ-ერთ სადგურზე შავ მუშათ მუშაობს თბილისის ყოფილი ქალაქის თავი ნიკო ელიავა.



გიორგი სულაქველიძე

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან წასვლის შემდეგ მენშევიკური პარტიის უცხოეთში გადახიზნულ უბრალო წევრებს არავითარი დახმარება არ მიუღიათ ყოფილი მთავრობისაგან. ნოე ჟორდანიას მთავრობამ ბათომიდან გასვლისთანავე უყურადღებოდ დასტოვა მის მიერ მოტყუებით წაყვანილი ხალხი და არავითარ მზრუნველობას არ იჩენდა მათ მიმართ.

ყოფილი მთავრობა სტიპენდიას აძლევდა მხოლოდ ორიოდე სტუდენტს, ისიც მხოლოდ ქლექით ავადმყოფებს. ის სცდილობდა გამიჯნოდა უცხოეთში გადახვეწილ ქართველობას და არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობდა მათი ბედიღბლისათვის.

ქართველ ემიგრანტ-ოფიცრობის შესახებ ამხ. ალიხანიშვილმა განაცხადა შემდეგი:

— ქართველი ემიგრანტ-სამხედრო პირების დიდი ნაწილი თავმოყრილია პარიზში. იქ ისინი შავ მუშაობას ეწევიან, რამოდენიმე კაცი კი მსახურობს საფრანგეთის ჯარში და პოლიციაში. პარიზშია სხვათა შორის გენერალი კვინიტაძე, რომელიც შავ მუშათ მსახურობს ერთ-ერთ ფაბრიკაში.

ოფიცრობის დანარჩენი ნაწილი კი დარიგებულია სხვადასხვა ქვეყნებში—პოლონეთში, ჩეხო-სლოვაკიაში, საბერძნეთში და სხვაგან.

პოლონეთში ქართველი ოფიცრები მსახურობენ ჯარში. იქ არიან იოსებ ხალთყაია და გენერლები კონიაშვილი, ზაქრაძე, ქუთათელაძე და ყაზბეგი. ქართველი ოფიცრების და იუნკრების პირველი პარტია პოლონეთში გაგზავნილი იყო 1922 წლის დამლევს. მათი მიღება პოლონეთის ჯარში მოხდა იმ შეთანხმების თანახმად, რომელიც დადებული იყო საქართველოს ყოფილ მენშევიკურ მთავრობასა და პოლონეთის მთავრობას შორის.



თედო დემეტრაშვილი

ოფიცრების მეორე პარტიის გაგზავნა მოხდა პარიზში ჩოლოყაშვილის რაზმელების ჩასვლის შემდეგ. ამ ოფიცრების მოწყობა პოლონეთის ჯარში დაკისრებული ჰქონდა ალ. ახათიანს, რომელიც სპეციალური დავალებებით იყო გაგზავნილი პოლონეთის მთავრობასთან.

ამას გარდა 1921 წელს მენშევიკურმა მთავრობამ საბერძნეთში გაგზავნა 25 იუნკერი, რომლებიც ბერძნული ენის და საბერძნეთის ისტორიის შესწავლის შემდეგ მიღებულ იქნენ იქაურ სამხედრო აკადემიაში. მაგრამ სამხედრო გადატრიალების შემდეგ საბერძნეთის ახალმა მთავრობამ უარი სთქვა მათ შენახვაზე და ისინი იძულებული იყვნენ დარიგებულიყვნენ სხვადასხვა ქვეყნებში. საბერძნეთში დარჩა რამოდენიმე კაცი, რომლებიც, მგონი, მსახურობენ ჯარში.

35-მდე ქართველ ემიგრანტს ინახავს აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა.



მაქსიმე მეკუა

სულ ქართველ ემიგრანტთა რიცხვი ყველა ქვეყნებში აღწევს 800 კაცს, საქართველოდან კი გაქცეული იყო 1500-დე კაცი. დანარჩენების ბედის შესახებ არავინ არაფერი არ იცის.

საერთოდ სწორი ცნობები ემიგრაციის შესახებ არ არსებობს, რადგან ჟორდანია-რამიშვილების „მთავრობას“ ერთხელაც არ მოუხდენია ემიგრანტების რეგისტრაცია.

# პარტიული ცხოვრება

## პროპაგანდის საკითხები

III.

ადგილობრივი პარტორგანიზაციების სინამდვილე სოფლად ისეთი არის, რომ პოლიტცოდნის მოძრავი და სტაციონალური სკოლები წევრთა უმრავლესობას ვერ გასწვდებიან, რადგან ამის შესაძლებლობას არ იძლევა მათი საცხოვრებელი პირობები. ხშირია ისეთი თემები და სოფლები, რომლებიც ერთი მეორეს ისეთი მანძილით არიან დაშორებულნი, რომ აღნიშნულ სკოლაში მეცადინეობას ვერ დაესწრებიან იქ მცხოვრები პარტიის წევრები.

პოლიტცოდნის მოძრავი სკოლის მეცადინეობა ნორმალური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი წევრები საცხოვრებელ ადგილის მიხედვით სამი ან უკიდურეს შემთხვევაში, ოთხი ვერსის მანძილის ფარგლებში იმყოფებიან. საერთოდ პოლიტცოდნის მოძრავი და სტაციონალური სკოლები ისეთ ადგილებში უნდა დაარსდენ, სადაც პარტიის წევრები უფრო მჭიდროთ არიან დასახლებულნი.

აი აქ კი ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ პარტგანმანათლებელ მუშაობის, როგორი ფორმა იქნება შესაფერი ისეთ ადგილებისათვის, სადაც პარტიის წევრები საცხოვრებელ ადგილის მიხედვით დაქსასულნი არიან ერთი მეორისაგან. როგორც ვსთქვით ამ ამხანაგების აღნიშნულ სახის სკოლებში მეცადინეობა ტექნიკურად მიუწვდომელი და შეუძლებელია. ამასთანავე ერთად ასეთ ადგილებში მყიფი პარტიის წევრები თვით კუთხის, თუ რაიონის ჩამორჩენილობის გამო, სხვებთან შედარებით გაცილებით ჩამორჩენილი არიან. ამიტომაა, რომ ამ ადგილებში პარტიის წევრთა პოლიტცოდნის მხრივ მომზადების საკითხიც უფრო მწვავედ სდგას. მაშ რა გვმართებს ჩვენ ამ შემთხვევაში?

ყველა ასეთ ადგილებში განსაკუთრებული სახის ორგანიზაციული ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული.

ეს ღონისძიებაა—სამეცადინო კურსი-ყრილობის მოწვევა, საცხოვრებელ ადგილის მიხედვით დაქსასულ კომუნისტებისათვის.

კურსი-ყრილობები უნდა მოეწყონ სამაზრო-საოლქო ცენტრებში; ეს უკანასკნელი კი იმას გულისხმობს, რომ განსაზღვრულ დროის განმავლობაში რამოდენიმე ათეული კაცი მოწვეულნი იქნებიან ერთ ადგილას, სადაც მათ მიეცემად ბინა და საჭმელ-სასმელი. სამაზრო-საოლქო ცენტრში კურსი ყრილობის მოწვევა იმ გარემოებითაც არის ნაკარნახევი, რომ აქ შეიძლება მეცადინეობის უფრო უზრუნველყოფა მასწავლებლების მხრივ. ასეთი ყრილობა იწვევა ერთი თვის ვადით, რომლის სამეცადინო პროგრამა იგივე იქნება, რაც პოლიტცოდნის მოძრავ სკოლას აქვს. კურსი-ყრილობა სხვა სახის სკოლებთან შედარებით გაცილებით მეტ ნაყოფს მოგვცემს, რადგან მათი მსმენელები მეცადინეობის განმავლობაში ყოველგვარ მუშაობისაგან თავისუფალნი არიან და მთელ დროს მეცადინეობას მოახმარენ. კურსი-ყრილობა მოწვეული უნდა იქნეს სამაზრო და საოლქო კომიტეტების უშუალო ხელმძღვანელობით.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებმა კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კურსებზე სამოსწავლო საქმის თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დაყენებას. პირველ რიგში საჭიროა კურსების უზრუნველყოფა საუკეთესო ძალებით—ლექტორებით. მხოლოდ მეცადინეობის მეთოდი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თითქოს გამომუშავებული პროგრამის მიხედვით ერთი რომელიმე თემა სამეცადინო დღეს განვლილი იქნეს მსმენელებთან. მეცადინეობა იმრიგად უნდა იქნეს დაყენებული, რომ გარდა ლექცია-საუბრისა მსმენელები მთელი დღის განმავლობაში მეცადინეობდენ, გარდა ნორმალურ დასვენების საათებისა.

მართალია კურსი-ყრილობის მეცადინეობიდან გამოცდილება ადგილობრივად ჯერ არ გვაქვს, მაგრამ აქედანვე შეგვიძლია მას მივაკუთვნოთ უაღრესად დადებითი მნიშვნელობა პარტიის წევრთა მომზადების საქმეში.

გარდა ამისა ასეთი ყრილობის მოწვევა შესაძლებელი იქნება ნოემბრიდან, როდესაც სასოფლო-მეურნეობაში წლის უმთავრესი მუშაობა შთავრდება. კურსი-ყრილობის მოწვევის ხარჯები ნაწილი ადგილობრივად უნდა იქნეს გამოძებნილი იმის დასამტკიცებლად, რაც მიღებული იქნება ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ ცენტრიდან.

ასეთი უნდა იქნენ ის ღონისძიებები, რომლებიც ახლო მომავალში უნდა გავატაროთ.

ქ. გორდელაძე.

# ...საქართველოს გეოგრაფ. საზ—ბის ექსპედიცია სვანეთში

გუშინ ჩვენმა რედაქციამ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციის ხელმძღვანელის გ. ნიკოლაძისაგან სვანე- იდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

უშბას მთის მყინვარებიდან ექს- ცია ჩავიდა მესტიაში, საიდა- ც სვანეთის ალმასკომის თავმჯდო- რის პიმენ დვალის, მისი მოადგი- ე სილიბისტრო ნავერიანის და ეჟრაბპომრუს"-ის კინო-გადამღებ- ა თანხლებით გაემართა კავკასიო- ს უდიდეს მყინვარზე ლეხზირსზე, აც ექსპედიციამ მოახდინა გლა- ოლოგიური გაზომვა, გადაიღო ნო-ლენტზე ახლო-მახლო ადგი- ბი.

შემდეგ ექსპედიცია დაბრუნდა ტიაში, საიდანაც სვანეთის ალ- კომის თავმჯდომარის მოადგილე ლიბისტრო ნავერიანის თანხლე- თ გაემართა ზემო-სვანეთი- კენ. ზემო-სვანეთში ექსპედიცია იდა კარეტას მთაზე, საიდა- ც გადაღებული იქნა პეტ- ლდის და შხარის მთები და სხ.

ექსპედიციამ მოიარა მყინვარები ლდე და ადიში, შესანიშნავი თა- სი განსაკუთრებული სილამაზით. სპედიციამ გადაიღო ფოტოგრა- ული სურათები უძველეს ქართულ ტების, რომლებიც ინახება კვირი- ს და ივლიტეს ტაძარში, და რო- ლიც ჯერ არავის არ გადაუღია ადებულ იქნა აგრეთვე ქართული ლოვნების შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც ინახება უშგულის, ედი- ს და მესტიის სასოფლო თემების ლესიებში.

მესტიაში დაბრუნების შემდეგ ექსპედიცია გაემართა სოფელ ლომსეალდში, სადაც ეკლესიაში ინახება ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი უძვირფასესი ისტორიული ძეგლები, მაგრამ მათი გადაღება კინო-ლენტზე შეუძლებელი გახდა.

ექსპედიცია იქიდან დაეშვა ძირს და ორი დღე და ღამის განმავლობაში მივიდა ჩუბერში, რომელიც მდებარეობს მდინარე ნენსკრის ხეობაში, იქ დათვალიერებული იქნა ძველი ლითონის ქარხნის ნაშთები, შევიძინეთ ბერძნული ფულები, რომელიც მოჭრილია მეოთხე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე. ეს ფულები ეხლახან უპოვნია ადგილობრივ გლეხს დევდარიანს. აქედან ექსპედიცია დაეშვა ძირს აფხაზეთისაკენ, გაიარა ხელუხლებელი ყინულები და ჩავიდა მდინარე სეკენის და ჩხალტის ხეობაში, სადაც უკანასკნელ დროს ცხოვრობენ სვანები. აქედან ექსპედიცია დაეშვა მდინარე კოდორის ხეობით და დღეს უკვე ჩავიდა სოხუმში და ასე დაამთავრა თავისი 45 დღის მოგზაურობა.

მოგზაურობის განმავლობაში შეკრებილია დიდძალი მასალები ბოტანიკის, მინერალოგიის და პეტროგრაფიის შესახებ.

ექსპედიცია ამ დღეებში დაბრუნდება თბილისში.

ექსპედიციის უფროსი ნიკოლაძე.

# ...ამაზრო განათლების განყოფილებათა გამგეების თათბირი

განათლების განყოფილებების გამ- ების ადგილებიდან მოხსენებების მდეგ არჩეულ იქნა 2 კომისია: | ამხ. მ. მეძმარიაშვილის თავ- ჯდომარეობით—სკოლების გადა- ეთების კომისია და მე-2-ე—საორ- ანიზაციო—ამხ. ე. მამულაიშვილის ავმჯდომარეობით.

საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა განათლების სახალხო კომი- რის ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება აქართველოში სწავლა-განათლების მის შესახებ.

### ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება

#### ცხრაწლედები

შრომის სკოლების რიცხვი იზრდე- ა. განსაკუთრებით შესამჩნევია 9- ლედი შრომის სკოლების ზრდა.

მართალია, შარშანწინ ჩვენ ჰუმა- ტარული ხასიათის საშუალო სა- სწავლებლები განვდევნეთ ჩვენი სწავ- ა-განათლების სისტემიდან, მაგრამ ფაქტიურად იმდენად ფესვებ გადგმუ- ი აღმოჩნდა ჰუმანიტარული განათლ- ბა ჩვენში, რომ დღეს ვრცელდება ცხრა წლედების სახით. მათ კი არ შე- ძლიათ ჩვენი მეურნეობისათვის სარგე- ლობა იმიტომ, რომ იქ კურს დამთავ- რებულები მოკლებულნი არიან სპეცია- ლობას, გამოუსადეგარი არიან თა- ვის სოფლისთვის და მიდიან უმაღ- ლეს სასწავლებლებში ან კანცელა- რიებში.

ჩვენში აუცილებელია სპეციალუ- რი პროფ-ტექნიკური განათლების ავრცელება.

ცხრა-წლედთა რიცხვი უნდა შემ- ცირდეს და მათ უნდა მიეცეს სხვა და სხვა სპეციალობის მიხედვით დაჯ- გუფება.

#### შვიდწლედები

შვიდწლედიანი შრომის სკოლები ჩვენ უნდა გვაძლევდენ საშუალო კვა- ლიფიციურ ტეხნიკოსებს.

ამისათვის საჭიროა ჩვენი ქვეყნის კულტურული გამიჯვნა და შვიდწლე- დების ქსელის ისე განაწილება, რომ ისინი სწვდებოდეს ადგილობრივ მეურ- ნეობათ.

ქალაქებში კი შვიდწლედებს უნდა ჰქონდეთ: კოოპერატიული, ფინან- სიური, კომუნალური და სხვა ხასი- ათი, ამ სპეციალობათა მიხედვით მუშაკების მოსამზადებლად.

#### ოთხწლედები

რაც შეეხება სწავლა-განათლებას ძირითად ოთხწლიან შრომის სკო- ლებში, ასეთების ქსელის გაფართოე- ბა საჭიროა მხოლოდ მომავალში და არა ამჟამად, ვინაიდან ეხლა ისი- ნი მოისუსტებენ—ბლიათ მოწყობა შენობების მხრივ. ხშირია ისეთი შემ- თხვევები, როდესაც განათლების გან- ყოფილებათა დაუკითხავად ასეთებს ხსნიან: გლეხკომები, კოოპერატივები, პროფკავშირები, შეფები და სხვები, მაგრამ თანხები აღარ ჰყოფნით და ისინი ეხვევა თავზე განათლების გან- ყოფილებას, რაც აფერხებს საქმეს.

საჭიროა შეჩერება არსებულ ოთხ- წლიან შრომის სკოლების რაოდენო- ბაზე, მათი გაძლიერება ყოველ მხრივ და ამ დარჩენილების საშუალებით უნდა გავატაროთ სავალდებულო და უფასო სწავლა.

#### პედაგოგიური შემადგენლობა.

ახალ სკოლას დღევანდელი პედა- გოგიური პერსონალის ნაწილი ვერ შეითვისა ახალ სკოლის პრინცი- პებს.

საჭიროა ახალ პედაგოგების შექმნა. ეს კი მოხერხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის ყოველ მხრივ გაუმჯობესებით და პედაგოგიური ტეხნიკუმების რიცხვის გამრავლებით (განზრახულია ასეთების დაარსება: ქუთაისში, ოზურგეთში და სენაკში).

საზაფხულო გადასამზადებელი კურსები კი სათანადო ცოდნას მასწავლებელთ ვერ აძლევენ და ამასთანავე ვერც იტევენ მსურველებს.

#### უმაღლესი სკოლა.

ცხრაწლედები ყოველ წლიურად იძლევიან 10.000-დე უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველთ. ასეთი რიცხვი უსათუოდ შედეგად მოგვცემს მომავალში ისეთ ხალხს, რომელთაც საქართველოს ეკონომიკა ვერ დაიტევს.

ამჟამად ჩვენს უნივერსიტეტებში ირიცხება 8000-დე სტუდენტი, რომელთაც ჩვენი ლაბორატორიები და სამეცნიერო კაბინეტები ვერ იტევენ, არის შემთხვევა, რომ ანატომიურ კლინიკაში ერთ გვამზე მუშაობს 200—300 სტუდენტი, ასევე ხდება ქიმიურ ლაბორატორიებში, სადაც ანალიზებზე სტუდენტებს წარმოდგენაც კი არ აქვთ.

ასეთ პირობებში ჩვენი ნაბიჯი იმ მხრივ, რომ წელს 4000 მთხოვნელიდან უნივერსიტეტში მივიღეთ 450 სტუდენტი სათანადო გამოცდით—სწორია.

რათა მომავალში ასეთ გარემოებებს ადგილი არ ჰქონდეს, საჭიროა გამრავლება სათანადო სპეციალ ტეხნიკუმებისა (ეხლა 28-აა), რათა უნივერსიტეტში ტეხნიკუმის კურსდამთავრებულნი შევიდეს სათანადო ფაკულტეტზე, სათანადო საშუალო სპეციალი ცოდნით.

#### სოფლის ახალგაზრდობის სკოლები.

ასეთი სკოლები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ. ამ ჟამად მათი რიცხვი განსაზღვრულია და გამრავლებისათვის მომავალში შვიდწლედების ნაწილი ადგილობრივ უნდა გადავაკეთოთ ასეთებათ.

#### ორგანიზაციული საკითხები.

ორგანიზაციულ საკითხებში მომხსენებელი შეეხო ალმასკომების საერთო განყოფილებებიდან განათლების განყოფილებათა გამოყოფას და მათ დაქვემდებარებას უშუალოდ ალმასკომების პრეზიდიუმებისა და განათლების კომისარიატისათვის; განათლების განყოფილებათა ინსტრუქტორების გამრავლებას და პოლიტგანათლების ადგილობრივი გამგის განათლების განყოფილების გამგის მოადგილეთ დანიშვნას.

#### უკანასკნელი სხდომა

მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: ხელფასზე—ამხ. ასლანოვის, სკოლების გაუმჯობესების და სასკოლო მტკიცე ქსელის შესახებ—ამხ. ლევიცკის, ადგილობრივ პოლიტ-განათლების პერსპექტივების შესახებ—ამხ. თ. რუხაძის, საორგანიზაციო საკითხებზე—მამულაიშვილის, და სასკოლო სტატისტიკის შესახებ—ამხ. ფანცხავასი.

ყველა საკითხებზე მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუციები, რომლებიც დაეგზავნებათ განათლების განყოფილებებს ადგილებზე სახელმძღვანელოდ.

# სასწავლო სეზონის დაწყების წინ

### საქარხნო სკოლებში და ტეხნიკუმებში.

საქარხნო სკოლებში წელს მოწაფეთა მიღება განსაზღვრულია. მიღება იწარმოებს მხოლოდ რამოდენიმე სასწავლებელში. ამ გარემოების მიზეზი არის ის მოსაზრება, რომ, თუ ყველგან საქარხნო სასწავლებებში მიღებულ იქნა მოწაფეთა იმდენი რიცხვა, როგორც გასულს წელს, მოსალოდნელია ზოგიერთი დარგის კვალიფიკაციურ მუშაკთა საჭიროებაზე მეტი რაოდენობის მიღება. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ გასულს წელს კურსდამთავრებულები იძულებული გახდენ ემუშავათ არა თავისი სპეციალობის მიხედვით.

წელს არ იქნება აგრეთვე საღამოს ტეხნიკუმი. ხოლო დღით მომაცადინე ტეხნიკუმებში კი მიიღებიან პროფკავშირის შვილები.

# კბილის ექიმთა ყრილობა

### პირველი სხდომა

16 სექტემბერს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დარბაზში ექიმ ხორავას თავმჯდომარეობით გაიხსნა ა|კ. კბილის მკურნალთა (ოდონტოლოგთა) პირველი ყრილობა, რომელზედაც გამოცხადდენ ა|კ. რესპუბლიკების ყველა კუთხეების და ქალაქების წარმომადგენელნი.

ყრილობას მიესალმენ საქ. კან სახ. კომ. წარმომადგენელი ამხ. აბზიანიძე, საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატიდან ამხ. დაუგე, საქ. სახ. უნივერსიტეტის სახელით პროფ. მუხაძე, აზერბაიჯ. ჯან. სახ. კომისარიატიდან ამხ. სალიბეკოვი, სომხეთის ჯან. სახ. კომის. სახელით გიბუშნი, ა|კ. პროფკავშირის საბჭოს სახელით ამხ. სემკოვი, საქ. მედსანშრომის კავშირიდან ამხ. ნარჩემაშვილი; მოსკოვის კბილის სამკურნალო ინსტიტუტიდან ამხ. ევდოკიმოვი და სხვა. პირველ სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი. დამტკიცებულ იქნა რეგლამენტი და დღის წესრიგი.

### მეორე სხდომა.

### კბილის სოციალური მკურნალობა

(მომხსენებელი ექიმი დაუგე).

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კბილების დღემდე არსებული მასიური მკურნალობის მეთოდები უკვე მოძველებულია. ამ მეთოდების ჩამორჩენილობის შედეგი არის კბილის მკურნალ პერსონალის მუშაობის ნაკლები ნაყოფიერება. მუშაობის ნაყოფიერების გასადიდებელ ერთ-ერთ ზომად მომხსენებელს მიაჩნია მტკიცე რეგლამენტაციის შემოღება ავადმყოფთა მიღების და მკურნალობის საქმეში, მკურნალის სამუშაო დღის განწესრიგებით.

კბილის სოციალური მკურნალობის დარგში, მომხსენებლის აზრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წინასწარ გამაფრთხილებელ მკურნალობას, რომელიც განსაკუთრებით გამოყენებული უნდა იქნეს მოზარდი თაობის მიმართ.

ის მცირე საშუალებები, რომელიც სახელმწიფოს ამ საქმისათვის მოეპოვება, მომხსენებლის აზრით, პირველ რიგში უნდა მოხმარდეს წინასწარ მკურნალობას, განსაკუთრებით კბილების ისეთ ავადმყოფობას, რომელნიც ცუდ გავლენას ახდენს მშრომელთა შრომის უნარიანობაზე.

იმავე სხდომაზე კბილების სოციალური მკურნალობის ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ თანამოხსენება გააკეთა ექიმმა მიშურამ.

# ქრონიკა

### ამხ ფ. მახარაძის დაბრუნება

ამხ. ფ. მახარაძე ორი კვირის სვანეთში მოგზაურობის შემდეგ გუშინ საღამოს დაბრუნდა თბილისში.

— **პენსიონერები.** 1 სექტემბრისათვის დამზღვევ კასას აღრიცხვაზე ჰყავდა 1.139 პენსიონერი, მათ შორის 794 შრომის ინვალიდია.

— **ავათმყოფობის გამო** დროებით შრომის უნარ დაკარგულებს დამზღვევ კასამ აგვისტოში აუნაზღაურა 35,476 გაცდენილი დღე.

— **პროფსნეულების შესასწავლად.** პროფსნეულების შემსწავლელ ლაბორატორიის საჭიროებისათვის მომავალ წელში ჯანსახკომმა გადასდო 23.000 მან.

— **შემოსატან-გასატან საქონლის** გამოფენა ა—კ. აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში გაიხსნება ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

— **ტყეების დაცვა.** ახლო ხანში შესდგება ა—კ. მასშტაბით ცალკე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების, მიწად-მოქ. სახ. კომისარიატების, მეტყევეთა, ა—კ. ფინსახკომის მიწა-ტყის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირი ტყეების ექსპლოატაციისა და დაცვის შესახებ.

— **ტელეფონის ახალი დაწესებულებები.** ა|კ. ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა დარჩელში, მუხიანში და ცხემლისხიდში გახსნა ტელეფონის დაწესებულებები.

— **სატელეგრაფო კავშირი სპარსეთთან** აღდგენილი იქნა თბილის-თეირანის მიმართულებით.

— **ა|კ. მებამბეობის კომიტეტის** დადგენილებით ჩაბარებულ ნედლ ბამბაში ბამბის მეურნეთ ფული მიეცემათ შარშანდელი ფასების რაოდენობით.

— **დახმარება უმუშევრებს.** საქ. დამზღვევი სალაროები ამჟამად ფულად დახმარებას აძლევენ 4 ათასამდე დაზღვეულ უმუშევრებს.

— **მიწად-მოწყობა.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიწად-მოწყობა დამთავრდა 32 სოფელში, სადაც მიწით მოეწყო 5,138 კომლი.

— **ყურძენის დამზადება.** სახ. მამულების ტრესტი წელს დაამზადებს 150 ათას ფუთ ყურძენს გასასალებლად.

— **მეაბრეშუმეობა.** საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა გასცეს სესხად 40 ათასი მანეთი მომავალ წელში აბრეშუმის თესლის დასამზადებლად.

— **საზეითლო საქმე.** სახ. უნივერსიტეტთან საზეითლო დარგის მოსაწყობ ხარჯებისთვის მიწად-მოქ. კომისარიატს განზრახული აქვს გადასდოს 62 ათასი მან.

— **სოფლის მეურნეობისათვის.** მიწად-მოქ. კომისარიატმა შეაკეთა წინამძღვრიანთკარის სას.-სამეურნეო სასწავლებლის ყველა შენობები.

— **შინა-ვაჭრობა.** 1 ოქტომბრიდან საქ. რამოდენიმე მაზრაში და მათ შორის თბილისის მაზრაშიაც გაიხსნება შინა-ვაჭრობის განყოფილებები.

— **მეხილეობა.** მიწად-მოქ. კომისარიატის მეხილეობის ბიურომ გამოიმუშავა მეხილეობის გაუმჯობესების გეგმა.

— **სამზარეულო ქურები.** საქ. გლეხკომების ცეკამ მოსკოვში ქურების დასამზადებელ ქარხანას შეუკვეთა დიდძალი სამზარეულო ქურები.

— **წამლეულობა გლეხებს.** საქ. გლეხკომების ცეკამ მოსკოვიდან გამოიწერა პირველი მოთხოვნილების წამლები გლეხებისათვის.

— **ახალი ქარხანა.** აფხაზეთის მთავრობას განზრახული აქვს მოაწყოს საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო საგნების დამამზადებელი ქარხანა.

— **ამხ. სტრელეცკის ლექცია.** 17 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე ტრამვაელთა კლუბში (პლეხანოვის ქ. 182) ამხ. სტრელეცკი წაიკითხავს ლექციას „ჰიპნოზი და შთაგონება“.

— **თბილისში მცხოვრებ მეგრელთა კრება.** შაბათს, სექტემბრის 19-ს, საღამოს 8 საათზე ხელოვანთა სასახლეში (ივანე მაჩაბელის ქუჩა, № 13) დანიშნულია თბილისში მცხოვრებ მეგრელთა კრება. კრების საგანია პრესაში აღძრულ სამეგრელოს საკითხის ირგვლივ აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კრებაზე მოწვეული არიან თბილისში მცხოვრები მეგრელი მწერლები, ინტელიგენტები, მუშები, სტუდენტები და სხვ.

— **ახალი სამკურნალო წყლის გამოკვლევა.** საქართველოს საკურორტო სამმართველოს უფროსის განკარგულებით კომისიამ, რომელშიაც შედიოდა პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, გეოლოგი კონიუშევსკი და კარაპეტიანი და ჯანსახკომის ქიმიკოსი კუმპაძე, ყოველის მხრივ გამოიკვლია ჯავის (სამხრეთ ოსეთშია) მინერალური (ტუტე-მარილოვანი) წყარო.

### ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

— **წერკუმის მუშაობა.** ამჟამად წერკუმსს აქვს 16 სამაზრო განყოფილება, 3 სარაიონო საბჭო, 389 უჯრედი და ყავს 13.881 წევრი.

— **ახალი სალიკვიდაციო სკოლები.** წერკუმსის პირველმა პლენუმმა მიზნად დაისახა მომავალ სასწავლო წელში გახსნას რესპუბლიკის მასშტაბით თავის ხარჯზე 1.000 ლიკსკოლა, სადაც უნდა შეისწავლონ წერა-კითხვა 80.000 კაცმა.

— **„წერკუმსი“-ს კინო-სექცია.** წერკუმსის ცენტრალურმა გამგეობამ დაარსა საკუთარი კინო-სექცია, რომელმაც უკვე გადაიღო საქართველოს ზოგიერთი კურორტები, წარმოკავშირის, თამბაქოს ტრესტის, საკურორტო სამმართველოს, სატყეო განყ. და სხვა დაწესებულებათა მრეწველობა.

# ხელოვნება

— გერონტი ქიქოძემ ფრანგულიდან გადმოთარგმნა ცნობილი რაინდული რომანი საშუალო საუკუნოების ცხოვრებიდან: „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“.

წიგნს სცემს გამომცემლობა „ქართული წიგნი“.

— **„პატარძალთა ხომალდი“.** დღეს მოხდება „სოლეის“ შემოდგომის სეზონის გახსნა. აჩვენებენ ამეროკის კინომრეწველობის სურათს: „პატარძალთა ხომალდი“.

— **„მნათობის“ ალმანახი.** ამა წლის ოქტომბრიდან გამოვა ჟურნალ „მნათობის“ ორთვიური ლიტერატურული ალმანახი. შაბათს 19 სექტემბერს საღამოს 4 საათზე, ხელოვანთა სასახლეში დანიშნულია ჟურნალ „მნათობის“ ალმანახის თანამშრომელთა კრება, სადაც წაკითხული იქნება კონ. ლორთქიფანიძის მოთხრობა და გ. ქურულის პოემა.

— ნ. ჟღენტის სახელობის საქარხნო-საფაბრიკო ქალთა სკოლის კლუბში 19 სექტემბერს გაიმართება დიდი საღამო.

# შემთხვევები

— **თავის მოწამვლა.** 15 სექტემბ. პლეხ. პრ. № 25 თამარ ბიულაშვილმა მოიწამლა თავი, მაგრამ სიკვდილს გადაარჩინეს. მიზეზი გამოურკვეველია.

— **გადმოვარდნა.** 15 სექტ. მაჩაბელის ქ. № 4, მეორე სართულიდან გადმოვარდა 5 წლის ბავშვი ვლადიმერ ცალკა, რომელიც 2 საათის შემდეგ გარდაიცვალა.

— **შეპყრობა.** 15 სექტ. ორთაჭალის ბაღში შეიპყრეს პავლე ფოჩხერი, რომელსაც ბრალდება რაჟდენ სვანიძისათვის ბეჭედის მოპარვა.

— **ნარმის ქურდი.** 15 სექტ. ხითაროვისეულ ქარვასლაში გიორგი ზაქარიანცს მოპარეს 13 მეტრი ნარმა, ქურდი მაიკ მარტიროსოვი შეიპყრეს.

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 15 სექტ. შეიპყრეს მცირე წლოვანი ჯიბგირი სამსონ პეტროსიანი.

— **ქურდი ავადმყოფი.** 15 სექტ. რკ. გზ. საავადმყოფოში მორიგე დასტაქარს შალვა თაქთაქიშვილს სამგრაილო ხალათიდან მოპარეს 81 მან., ეჭვი აქვს ავადმყოფ ოგანეს ბაგდასარიანზე.

— **კიდევ დათვრება?** 15 სექტ. ჩერქეზიშვილის ქუჩაზე დასძინებია სითვრალის გამო, სოლომონ გუგუშვილს, რომლისთვისაც ბოროტგამზრახველებს ძილში მოუპარავთ 60 მან., ფაფახი და ვერცხლის ქამარი.

— **ქურდობა.** 15 სექტ. კირპიჩნის ქ. № 18 გაქურდეს აბრამ ბიბილუროვის ბინა, წაღებულია 50 მან. ნივთები.

# მუშათა ცხოვრება

### ხრესილის დასასვენებელი სახლები

ქუთაისის სამაზრო დამზღვევ კასის გამგეობაში ითვლება ხრესილის დასასვენებელი სახლები.

აღნიშნული სახლები არის დადგმული ძატაკით პირდაპირ მიწაზე, რის გამო ოთახები ნესტიანია და დასასვენებლად ჩამოსული მუშა-მოსამსახურეთ დასვენების მაგიერ უფრო უზიანდებათ ჯანმრთელობა და ისე ბრუნდებიან უკან.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ აღნიშნულ სახლებს არავითარი შეკეთება და მოვლა-პატრონობა დიდი ხნით არ ღირსებიათ. ოთახებში ყოველი მხრივ ჩამოდის წვიმა, რაც ასე ხშირია ამ მხარეში.

საერთო სამზარეულო სრულიად მოშლილია, უვარგისი, რის გამო დამსვენებლები შუა ცეცხლის კვამლში გახვეულნი აკეთებენ საჭმლებს.

გოგირდის წყარო უწინ ცინკის მილებით იყო შეერთებული აუზთან, მაგრამ ეხლა მილები გაფუჭებულია და წყალი გადის ცარიელ მიწაში მას სრულიად ეკარგება გოგირდის ძალა, თვით წყალიც უმნიშვნელო ჩადის აუზში.

დასასვენებელ სახლს არ ექცევა არავითარი ყურადღება და იგი ყოველდღე უფრო და უფრო ინადგურდება. რათ ლუპავთ სახალხო ქონებას.

გონი.

### მუშებს „ეგოისტობა“ არ შეგვფერის

ეს მეორე წელიწადია, რაც თუთუნის ქარხნის მუშებს გვეძლეოდა ტრესტისაგან ყოველ დღე თითო „კრუჟკა“ რძე იმ განყოფილებაში, სადაც უფრო მეტი თუთუნის მტვერი ტრიალებს. არის განყოფილება, სადაც უფრო ნაკლები მტვერია, მაგრამ მაინც ყველა მუშები ერთ ჭერ ქვეშ ვმუშაობთ და ერთგვარ ატმოსფერით ვსუნთქავთ ამ უკანასკნელ დროს კი, როგორც ვიცით, წარმოებამ შესაფერ სიმაღლეზე აიწია, რისთვისაც ტრესტმა კეთილინება და ერთი „კრუჟკა“ ორად გაგვიხადა, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენი მეორე „კრუჟკა“ რძე დაგვეთმო ჩვენი ამხანაგებისათვის, რომელთაც რძე სრულებით არ ეძლევათ ამითი ჩვენი სინიდისიც დაწყნარდებოდა და ამხანაგების გულსაც მოვიმადლიერებდით. ერთმა ორი მიიღოს და მეორემ არაფერი, ამას ეგოისტობა ეწოდება და მუშებს კი ამ სახელის ტარება არ შეგვფერის.

მუშ. ალ. ბ—შვილი.

### საქმის რად აჭიანურებენ?

რკინის-გზის თბილისის მთავარ ელექტრო-სადგურის მუშები ღებულობდნენ პრემიას. ა. წ. მაისიდან ადგილობრივმა ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა დ. შ. ნ.-2 წინაშე, რომ აღნიშნული ჯილდო მომავალში მიეცათ მუშებისათვის. მას შემდეგ უკვე განვლო ოთხმა-თვემ და როგორც ირკვევა უნდათ ამ პრემიების სრულიად მოსპობა პირველ ივლისიდან.

რაშია საქმე?

ორი თვისა—ივლისისა და აგვისტოს ნამუშევრების პრემია ვის მოსთხოვენ მუშებმა?

არ—შეიძლება ამ საქმის სამართლიანად დაბოლოვება?

მუშკორი გარდი.

### რატომ არ რწყავენ ქუჩებს?

ამ სიცხე-პაპანაქებაში თბილისის ქუჩები ძალიან იშვიათად ირწყვება და მტვერის კორიანტელში იტანჯება მოსახლეობა; განსაკუთრებით კი მუშათა უბნებში. ვიცით, რომ წყალსადენს წყალის საგრძნობი ნაკლი აქვს და კეთილ მოწყობის განყოფილებავ, შენ რა ზომებს იღებ?!

მუშა—ასოთ-ამწყობი.

### გამოგზავნილი წერილებიდან

**ამათ ჭკუა ასწავლეთ.** მინკვიცის ქ. სახლის № 16-ის პატრონი სანდრო ოთოფაძე, მისი და ქეკელა ამირაგოვი და „წათესავნი მათნიც“ მეტად უხეშად, უდიერად და თავხედურად ეპყრობიან მდგმურებს, აგინებენ და ლანძღავენ მათ ბინძური სიტყვებით. მათ რამდენჯერმე მიაყენეს შეურაცხყოფა ლანძღვა-გინებით ა|კ. საგან. კომიტეტის თანამშრ. ამხ. ჩაგმაულის ცოლს და სხვ.

**პროკურორო და მილიციავ, ამათ ჭკუა ასწავლეთ!**

მუშკორი მაყურებელი.

— **უნდა მოვაწესრიგოთ ეს საქმე.** ჩვენი ექიმები ადასტურებენ, რომ თბილისის მოსახლეობის 50—60 პროც. მეტი ქლექით არის დაავადებული და რომ მთელი 100 პროცენტი მოსახლეობისა არ იქნეს შეპყრობილი ამ საშინელი სენით, საჭიროა ზოგადი ზომების მაინც მიიღება. ჩემის აზრით სხვათა შორის ქუჩებზე უნდა მოეწყოს საფურთხებლები სახლის პატრონების ხარჯზე და დაევალოთ მოქალაქეთ ქუჩებზე არ დააფურთხონ, ვინაიდან ასეთი ნაფურთხიდან ვრცელდება ქლექი უმთავრესად.

მუშ. ილ. კაციტაძე.

### მუშათა ქრონიკა

— **დროებით მუშებში.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა მიმართა ადმინისტრაციას, რათა მეოთხე თანრიგში გადარიცხოს დროებითი მუშები.

— **ფურნის შეკეთება.** სად. შორაპნის ადგილკომმა მიმართა „ზაკტპოს“ შეაკეთოს სად. შორაპანში არსებული „ზაკტპო“-ს ფურნე.

— **240 ტანსაცმელი.** ბაქოს საუბნო პროფკავშირმა შეიძინა 240 ტანსაცმელი ფიზკულტურის მუშაკებისთვის.

— **სამუშაო გეგმა.** ლენინაკანის საუბნო პროფკავშირმა დაამტკიცა ლენინაკანის საბინაო სამშენებლო კოოპერაციის სამუშაო გეგმა.

— **პროფტეხნიკურ კურსებზე.** ლენინაკანის საუბნო პროფკავშირმა თბილისის რკინის გზის პროფტეხნიკურ კურსებზე მიავლინა 7 კაცი.

— **პიონერების ტანსაცმლისათვის.** ლენინაკანის საუბნო პროფკავშირმა გადასდო 100 მანეთი პიონერებისთვის ტანსაცმლის შესაძენად.

### პასუხად ამხ. კ-ვის

(იხ. „კომუნისტი“ № 179)

„კომუნისტი“-ს მე-179 ნომერში ამხ. რადჩენკოზე მოთავსებულ წერილის შესახებ საუბნო კავშირმა და თბილისის საყუდის ადგილკომმა გამოჰყო ამხანაგები: შიმესი, ოქუაშვილი, თოთაძე კომუნისტის მუშკორთა წარმომადგენელი ამხ. უმბრიევი (იმავე საყუდის მუშა) რომელთაც დაწვრილებით გამოიკვლიეს წერილი და დაადგინეს, რომ ამხ. რადჩენკოს თბილისის საყუდში 30 წლის მუშაობის განმავლობაში) 20 წლის მანტიორად ყოფნის განმავლობაში) არ გამოუჩენია არც მედიდურობა, არც ყოფილა შემთხვევა რომ მას ძველი ჟანდარმი მოეგონებინოს თავის უხეში ქცევით, ამხ. რადჩენკო ყველას შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს სამსახურის დროს, ლანძღვა-გინებას ადგილი არ ჰქონია. მუშკორი კ. ვი—ს წერილი არ შეეფერება სიმართლეს.

კომისიის წევრები: 1. შიმესი, 2. გ. ოქუაშვილი, 3. თოთაძე, 4. უმბრიევი.

# სოფელი

### გზა სვანეთს

ბუნებრივი სიმდიდრე, რომლითაც სვანეთ-ლეჩხუმის მთა-გორები უხვია, უსარგებლო სიმდიდრედ არის დარჩენილი. და ასე იქნება, სანამ არ გაჩნდება საშუალება, მას მიუდგეს ადამიანი, დაამუშაოს ის და მოსახმარის საგნათ აქციოს. ეს საშუალება გზაა და კიდევ გზა.

ეს კუთხეები ცნობილია თავის კულტურულ და ტეხნიკურ ჩამორჩენილობით.

სვანეთში იშვიათად ნახავთ სახლს, რომელსაც ლურსმანი დასჭირვებოდეს ან სხვა რაიმე რკინა-ფოლადის მასალას ქურჭელს ვერ შეხვდებით, გარდა ხისას. არ არის სარკმლიანი შენობები. საერთოდ ჩამორჩენილობა განუსაზღვრელია ამ მხარეში, რის მიზეზიც ნაწილობრივ უგზოობაში უნდა ვეძიოთ, რომელზედაც მუდამ გოდებდა ჩვენი ხალხი.

საბჭოთა ხელისუფლებამ განიზრახა გაიყვანოს სვანეთში გზა-ტქეცილი. ზედმეტი არ იქნება გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ამ საკითხის შესახებ. მთავრობას გზის ხაზის ორი გეზი აქვს აღებული. ინჟინერთა კომისია უკვე მუშაობს ამ მიმართულებით. ერთია ჯვარ-ბეჩოსი და მეორე ცაგერ-ბეჩოსი. რომელ ერთს უნდა მიეცეს პრივილეგია, რომელ ერთს მეტი სარგებლიანობა აქვს. ბეჩოჯვარის ხაზი, რომელიც მხოლოდ ზემო-სვანეთის ერთ ნაწილისათვის არის ხელსაყრელი, იმ ნაწილისათვის, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, მაგრამ სრულებით არ არის გამოსადეგი დანარჩენ, უმეტეს ზემო-სვანეთის ნაწილისათვის, რომელიც გეოგრაფიულად და ისტორიულადაც ლეჩხუმთანაა ახლო. აგრეთვე მთელ ქვემო-სვანეთისთვის და ლეჩხუმისათვისაც ჰკარგავს ეს გზა თავის მნიშვნელობას.

ცაგერ-ბეჩოს ხაზი, რომელიც ქუთაისიდან გაივლის შუა ლეჩხუმს, შემდეგ ქვემო-სვანეთს და ლატფარის ვეირაზით შეუერთდება ზემო სვანეთს მეტ სარგებლიანი და დიდ უმრავლესობისათვის გამოსადეგი იქნება, ვინემ ჯვარ-ბეჩოს ხაზი. მართალია ცაგერ-ბეჩოს ხაზით გზის გაყვანა მეტ ხარჯებს ითხოვს, ვინემ პირველი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენ ვიცით არის დაინტერესებული ხალხის სასარგებლო საქმით, რისთვისაც არავითარ ხარჯების გაღებას არ დაერიდება.

სვანეთ-ლეჩხუმის გზისთვის გაღებული თანხა, ეს იქნება დიდ პროცენტში გასესხებული ფული, რომელსაც მოკლე ხანში ლეჩხუმ-სვანეთის ბრჭყვიალა მთა-გორები აუნაზღაურებს. ეს საქმე იქნება დიდი მიღწევა საბჭოთა ხელისუფლების ცხოვრებაში, რომლისათვისაც ყველასაგან ყოველგვარი დახმარება საჭიროა.

ლე—ლი.

### თელავის მაჭანწარა

ვინც თელავში არა ყოფილა, ვერ წარმოიდგენს რა არის მაჭანწარა. ეს არის თელავის განაპირა ღარიბ მშრომელ ხალხით დასახლებული ვეებერთელა რაიონი. ეს თელავის თითქმის ერთი მეოთხედი არც ქალაქია, არც სოფელი. ქალაქის სიკეთესაც მოკლებულია და სოფლის სიავესაც. აქაა კულტურული ჩამორჩენილობა, სიბნელე და სილატაკე.

მაგრამ ეს აქამდე, ამის შემდეგ—კი მგონი ველარავინ იტყვის ამ სიტყვებს. მაჭანწარასაც უდგება ახალი ხანა.

მაჭანწარას შუაგულში აღმასკომის მეოხებით კეთდება სასეირნო ბაღი, იქვე ახლოს მოწყობილია სამკითხველო, სადაც თავისუფალ დროს დაიარებიან მცხოვრებნი. წითელ-ჯვრის თელავის განყოფილება აწყობს ამბულატორიას. მკურნალობა იქნება უსასყიდლოთ. ამას გარდა განათლების ინსპექციას გადაწყვეტილი ჰქონდა აქ საბავშვო ბაღის გახსნა, რაიც დიდ საჭიროებას წარმოადგენს და იმედია ამ შემოდგომიდან განახორციელებს ამას.

აღმასკომის მეოხებით გაყვანილ იქნება ელექტრონი და მაშინ აქამდე მივიწყებული და უყურადღებოდ დატოვებული მაჭანწარა თელავის ერთ საუკეთესო ნაწილად გარდაიქცევა...

ალ—ლი.

# წერილებიდან

### ს. ხამარეჯო

**უწესობა წარმოდგენის დროს.** აქაურ თეატრში ხშირათ იმართება წარმოდგენები, მაგრამ მათ ყოველივე ფასი ეკარგება იმ უწესრიგობის გამო, რომელსაც ადგილი აქვს თეატრის დარბაზში. ძუძუ-მწოვარა ბავშვიანი ქალები, შეზარხოშებული ყმაწვილები და მცირეწლოვანები ხშირი სტუმარია ჩვენი თეატრის. წარმოდგენის დროს ერთი აღიაქოთი და აურზაურია.

ალ. ბეგიაშვილი.

### სვანეთი

**ვინ გამოგზავნა ჯაფარიძეები?** თბილისის უნივერსიტეტში და მუშფაკში გამოგზავნილი არიან სვანეთიდან სტიპენდიანტებათ თითო პირი, ერთ და იმავე ოჯახის წევრები. აკაკი, კალისტრატე, ილამაზი და ერთი ქალი ჯაფარიძეები. რაშია საქმე? ჯაფარიძეები ცნობილია მთელ სვანეთში შეძლებულ ხალხათ. გარდა ამისა ილამაზი კაცის მკვლელია არც სხვები არიან სუფთა ხელის ხალხი. ვინ გამოგზავნა ისინი სვანეთის მშრომელების სახელით?

ზღვისპირელი.

### ს. ტეზერი (გორ. მ.)

**„ფიცი მწამს—ნალი მაკვირვებს“.** ადგილობრივ კოოპერატივს ნოქარს სასწორის ერთ თეფშზე ნალი დაედო, ქალამდი გადაეფარებია და ამგვარათ გაყიდულ საქონლის თვითეულ გირვანქაზე ერთ მურვდა იპარავდა. როცა ის ბოროტებაში დაიჭირეს, ფიცულობდა, „თუ ეს ჩემი მოწყობილი იყვეს, ცეცხლში ჩაიწვას ჩემი სული“. ფიცი ფიცად, მაგრამ ნოქარსაც უნდა მოხვდეს ისეთი პანღური, რომ მან შემდეგისათვის კოოპერატივის სახელიც აღარ ახსენოს.

კ. მესხიძე.

### დაბა სუფსა

**სუფსა გვემუქრება.** ამ უკანასკნელ ხანებში მდ. სუფსამ დაბისათვის მეტად სახიფათო და საშიში მიმართულება მიიღო. განსაკუთრებულ საფრთხეშია უნაგირას მოსახლეობა. ან ჯებირები უნდა გაკეთდეს, ან უნაგირას მცხოვრებნი გადასახლდნენ. ალმასკომი უკვე შეუდგა სათანადო ზომების მიღებას და ნაპირების გამაგრებაზე ზრუნვას. საჭიროა ცენტრის ყურადღება.

ა. თ—ია.

# სოფლის ქრონიკა

— **უმუშევრობის წინააღმდეგ.** აჭარაში მოწყობილ შრომის კოლექტივებში ამჟამად მუშაობს 365 უმუშევარი.

— **გლეხკომის საქმიანობა.** ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა იჯარით აიღო ჯარისათვის ხორცის მიწოდების საქმე.

— **ახალი საზოგადოება.** დასავლეთ საქართველოს მეწყემსეებმა დაარსეს ახალი საზოგადოება „მეჯოგე“.

— **ოსების გადმოსახლება.** სამხრეთ ოსეთში ესახლება ოსის 500 ოჯახი, რომელნიც სახლობდენ ავსტრალიასა და ამერიკაში.

— **ღვინის მოსავალი.** კახეთში ღვინის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ღვინოზე დიდი მოთხოვნილება.

— **საამშენებლო სამუშაოთათვის.** ახალქალაქის სამალმასკომმა დაავალა ადგილობრივ ფინგანს გამონახოს წყაროები მაზრაში საამშენებლო სამუშაოთა დაწყების მიზნით.

ა.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატი

ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის დადგენილებით

სახელმწიფოს მეორე მოგებიანი სესხის მოგებათა მეოთხე ტირაჟი

მოხდება ქ. თბილისში ა. წ. 15—20 სექტემბრამდე

ამ ტირაჟზე იქნება 9138 მოგება 750.000 მანეთის რაოდენობით

მოგება განაწილებულია შემდეგ ნაირად:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | მოგება | 5.000 | მანეთი | სულ | 30.000 მან. |
| 93 | „ | 1.000 | „ | „ | 93.000 ,, |
| 105 | „ | 500 | „ | „ | 52.000 ,, |
| 2556 | „ | 100 | ,, | ,, | 255.600 ,, |
| 6378 | „ | 50 | ,, | ,, | 318.900 ,, |

მოგებათა ტირაჟი გაიმართება სახელმწიფო აკადემიურ ოპერის დარბაზში

შესვლა ყველა მოქალაქეთათვის უფასოა.

ზ. 1677 10—7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

## პ ა რ ტ ი უ ლ ი

—დღეს, 17 სექტემბერს, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნოში შესდგება

**საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **მიხ. კახიანი.**

---

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ხუთშაბათს, 17 სექტემბერს, სალამოს 6 საათზე რაიკომის ბიუროს სხდომაზე (რაიკომის ბინაზე), კანდიდატებად მიღებისა და კანდიდატების პარტიის წევრებად გადაყვანისათვის.

უჯრ. № 48 (ქართული მუშფაკი)—1) ნიკოლოზ კიკნაძე, 2) ეოფილე მაღრაძე, 3) ალექსანდრე ქარუმიძე, 4) ვასილ მასხარაშვილი, 5) პოლიკარპე ბოჭორიშვილი, 6) გალაქტიონ მგელაძე, 7) ვასილ ბერიძე, 8) დავით ადამაშვილი, 9) ლუკა ეკიზაშვილი, 10) სარდიონ თეთრაძე, 11) პეპუცა ირემაშვილი, 12) შალვა ჭანქვავა, 13) მარიამ გველესიანი, 14) ვარლამ ზარქაძე, 15) ტარასი ჭამაკიძე, 16) ალექსანდრე ოგანეზოვი, 17) შეპინაძე ვალერიანი, 18) კაპიტონ ლოლობერიძე, 19) გიორგი ჯანუაშვილი.

უჯრ. № 23 (სახელმწიფო უნივ.)—1) ვასილ მჭედლოვი, 2) ილია შელეგია.

უჯრ. № 18 (ა | კ. კომუნ. უნივერ.)—1) თედორე ამირიძი, 2) მამედ იბრაგიმოვი, 3) ისმაილ ჯალილოვი, 4) ჯალათ მამაევი, 5) იუგაბერ აზატიანი, 6) აზიანი პეტროს, 7) აზიზკიანი ხაჩატ., 8) მნაცაკან ატოიანი, 9) გიორგი სტეილია, 10) გრიგ. ძაონციანი, 11) არსენ სერგეევი, 12) აბდულ რომაზანოვი, 13) სურენ ხაჩატუროვი, 14) სატიკ სარუხანიანი, 15) მეჯიდ სეიდოვი, 16) გამიდ მირზოევი, 17) არუიკ ჩალაკიანი, 18) დიმიტრი ჩერნიშევი.

უჯრ. № 20—1) ლიუსია სარიევა.

უჯრ. № 17—1) ნიკოლოზ პატარიძე.

უჯრ. № 15—1) ელენე მხიტარიანი.

უჯრ. № 2—1) ალექსანდრე გუთიკაშვილი.

უჯრ. № 6—1) ალექსანდრე ივანოვი, 2) გიორგი ჯინჭველაშვილი.

უჯრ. № 40—1) იაკობ ვერშოვსკი.

უჯრ. № 34—1) სევერიან მალულარია.

უჯრ. № 31—1) ემმა მელიკ-ათარბეკოვი.

უჯრ. № 5—1) ვასილ კვერიკაძე.

უჯრ. № 49—1) იაკ იმ მადამშინი.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ: **ხ. აკოპოვი.**

---

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს ა | წ. 17 მარტს, სალამოს 6 საათზე პარტიულ კლუბის შენობაში მოწვეულია საშეფო საზოგადოებათა ყველა ადგილობრივ და ცენტრალურ გამგეობათა კონფერენცია.

დღის წესრიგი: 1) ნებაყოფილობითი საშეფო საზოგადოების სისტემაზე გადასვლის შესახებ.

2) საშეფო საზოგადოებათა სარაიონო საბჭოს ორგანიზაციის შესახებ.

ადგილობრივ და ცენტრალურ გამგეობის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

---

**ქართულ მუშფაკში და სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსწავლე კომკავშირელთა საყურადღებოთ.**

— ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა წევრებს და კანდიდატებს ქართულ მუშფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედებისას, 18 სექტემბერს, პარასკევს სათის 3-ზე შეიკრიბონ ქართულ მუშფაკის შენობაში (სამოსწავლო შესახვევი № 4) ავსტრიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციის შესახვედრად.

რ. კ. პ. მგ. მდივანი: **ბ ა ხ ტ ა ძ ე.**

---

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-გამნაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. იოსებ ხარაბაძეს გამოცხადდეს 17 სექტემბერს ამხ. ბარსეგაევთან და აგრეთვე ამხ. მ. ს. მარუტიანს—გამოცხადდეს ამხ. სააკოვთან

---

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კუჭუხიძესთან.

1) არმენაკ არაქელიანცი შუბ აროვი, 2) პეტრე ყარამანისძე ელბაქიძე, 3) კაჩერმან არზუტანისძე აზრაპოვი, 4) მა რიამ ვასილის ასული ვარაკო-გუივიკი და 5) ანნა შავლია შვილი.

---

— საქართველოს კომპარტიის ცკას საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ ცკას საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ორი დღის ვადაში: 1) ლაშხი—ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატიდან 2) ზაქარიეშვილი პროკოფი გიგოსძე.

---

15 სექტემბერს ონიდან ქუთაისამდე **დ ა ი კ ა რ გ ა სხვადასხვა დოკუმენტები**, სახელდობრ: 1. მოწმობა ამხ. ფ. მახარაძის სახელზე ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე უფასოდ მგზავრობისა, მიცემული ამიერ-კავკასიის ცაკისაგან, 2. დიდი რვეული, რომელშიაც მოთავსებულია დახარჯულ ფულის ანგარიში სვანეთში მოგზაურობის დროს სხვადასხვა საჭირო დოკუმენტებით, 3. უბის წიგნი.

მპოვნელს ვთხოვთ წარმოადგინოს ან გამოგზავნოს თბილისში საქართველოს ცაკის პრეზიდიუმში, იქნება შესაფერისად დაჯილდოებული.

**ცაკის საქმეთა მმართველობა.**

# განცხადებანი

მიშა ხერხეულიძე ყველას აუწყებს თავისი უსაყვარლესი მეუღლის

## ბაბოს

ხანმოკლე ავადმყოფობით აბასთუმანში უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება და დასაფლავება საკუთარი ბინიდან (გაბაშვილის ქ. №12) ხუთშაბათს, სექტემბრის 17-ს, ნაშუადღევის 4 ს., ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1 2504

---

თავზარდაცემულნი დედ-მამა ზაქარია ივანეს ძე და სოფიო გრიგოლის ასული, ძმები: გიგიშა, ელიზბარ და ბიძინა ჩხიკვიძენი უთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს თავისი უსაყვარლესი შვილისა და ერთად-ერთი დის

## ბაბო ჩხიკვაძე-ხერხეულიძის

მოულოდნელ გარდაცვალებას. გამოსვენება გაბაშვილის ქუჩიდან, № 12, ხუთშაბათს, სექტემბრის 17-ს, ნაშუადღევის 4 ს. ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

2504 1—1

---

უსაზღვროდ მწუხარენი ბიძა რომანი და დეიდა ფეფო პეტრიაშვილები აცნობებენ მეგობართ და ნაცნობთ თავისი ძვირფასი დისწულის

## ბაბოს

მოულოდნელ გარდაცვალებას.

2504 1—1

---

თავზარდაცემული მამა დიტო ხიხაძე, დედა ნატალია ლევანის ასული ხიხაძისა, ბიძა მიხეილ ხუბუა, აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ 16 სექტემბერს, დღის 12 საათზე გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი

## პატარა კ უ ს უ კ ო

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 17 სექტემბერს საღამოს 4 საათზედ სემიონოვის ქუჩიდან № 7.

1—1 2515

---

დამწუხრებულნი დედამთილი ოლღა ხერხეულიძისა, მული სონია და სიძე ილუშა დავითაშვილები აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ ძვირფასი რძლის

## ბაბო ხერხეულიძის

უდროოდ გარდაცვალებას

2504 1—1

---

ანა და მირიან ბასილიები, ნინო და გიორგი ჭუმბურიძეები და მარგარიტა და კოლია კვინიკაძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი მეგობარი

## ანეპოდისტე კუჭუხიძე

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 17 ენკენისთვეს, ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე ქ. თბილისში, ყიფიანის ქ. № 8 დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე.

2405 1—1

---

ანა ყარამანის ასული, ლადო თეიმურაზის ძე და პაჭაია თეიმურაზ ბასილიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ

## ანეპოდისტე (ალექსანდრე) ალექსანდრეს-ძის კუჭუხიძის

გარდაცვალებას, გამოსვენება მოხდება 17 ენკენისთვეს ყიფიანის ქ. № 8. ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

2509 1—1

---

ღრმად დამწუხრებულნი ირაკლი ბილანიშვილი და მოსე თალაკვაძე აუწყებენ საზოგადოებას მათი დაუვიწყარი მეგობრის

## ანეპოდისტე (ალექსანდრე) ალექსანდრეს-ძე კუჭუხიძის

უდროოდ გარდაცვალებას.

2507 1—1

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნადია ფარნას ასული, მამა ალექსანდრე თომას ძე, ძმა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე კუჭუხიძენი, სიმამრი ფარნა ნიკოლოზის ძე კაცაძე, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 13 ენკენისთვეს, სალამოს 9 საათზე, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

## ანეპოდისტე (ალექსანდრე) ალექსანდრეს ძე
## კ უ ჭ უ ხ ი ძ ე

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 17 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 3-ნახევ. საათზე, ქ. თბილისში საკუთარი ბინიდან, (ყიფიანის ქუჩა № 8.) დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 საათზე.

2489 1—1

---

## გ ა მ ო ვ ი დ ა
### ყოველთვიური სამეურნეო ჟურნალი
## „ახალი სოფელი" № 1

ჟურნალში მოთავსებულია წერილები სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, გაშუქებულია გლეხის ყოველდღიური სამეურნეო მოთხოვნილებანი და მიცემულია მათი გაძღოლა-მოგვარებისათვის საჭირო დარიგებები.

ჟურნალის ცალკე ნომერი ღირს ერთი აბაზი. ხელისმომწერთათვის ჟურნალი ღირს ნახ. წლით 1. მ. და 10 კაპ. ერთი წლით 2 მან. ხელის მოწერა მიიღება გაზეთ „ახალი სოფელი"-ს კანტორაში: ტფილისი, ვოლოდარსკის (ყოფილი მადათოვის) ქუჩა № 11.

1—1 1727

---

მედსანშრომის პროფ. კავშირის საქართველოს ცენტრალური გამგეობა ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს ა. წ. 17 ენკენისთვეს საღამოს 8 საათზე, კავშირის ცენტრალურ დარბაზში (ევანგულოვის ქ. № 12) ქალაქ ტფილისის და მისი მაზრის

## ექიმთა გაფართოებული კონფერენცია
## მ ო წ ვ ე უ ლ ი.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულ მნიშვნელოვან საკითხთა გამო. ქალაქ ტფილისის და მაზრის ექიმების დელეგატების გარდა დანარჩენ მომუშავე და უმუშევარ ექიმთა დასწრებაც სავალდებულოა.

1—1 2510 **ცენტრალური გამგეობა.**

---

## მასწავლებელთა საყურადღებოდ!

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში მთავრობის მიერ ნებადართული ახალი სახელმძღვანელოები:

**არითმეტიკულ ამოცანათა კრებული ბუნებასა და შრომის ცხოვრებაზე დამყარებული**, წელიწადი პირველი 50 კ., წელ. მეორე 50 კ.

**მზადდება წელიწადი მესამე**

საწყობის მისამართი: ქუთაისი, ლიბკნეხტის ქ., დავით ოცხელის წიგნის მაღაზია.

5—1 2472.

---

## თბილისის კომუნალური წყალსადენისაგან

1) ტფილისის კომუნალური წყალსადენი ამით წინადადებას აძლევს თავის აბონენტებს წყალსადენიდან მიიღონ სახლის წყლის წიგნები, შეიტანონ მასში ყველა სახლის მცხოვრებნი, დაწესებულებანი და წარმოებანი, რომელნიც მოთავსებულნი არიან მათივე სახლებში და წარმოადგინონ სარეგისტრაციოთ, რის თანახმადაც შეღავათის უფლების მქონე პირებს უნდა მიეცეთ შეღავათები თანახმად ა | წ 7 აპრილის № 29 სავალდებულო დადგენილებისა.

2) სახლის წყლის წიგნების გაცემა სწარმოებს მუდამ დღე წყალსადენის სამმართველოში, ფ. მახარაძის ქ. № 1 (პასკევიჩის) დილის 11 საათიდან 2 საათამდე.

წიგნის მისაღებად მოსულმა აბონენტებმა უნდა წარმოადგინონ ძველი წყლის წიგნებიც.

3) ახალი წიგნები ზონარ გაყრილი დაბეჭდილი და წყალსადენის მიერ ხელმოწერილი ამა წლის 15 ოქტომბრამდე მიღებულ უნდა იქნეს ყველა აბონენტების მიერ განურჩევლად იმისა, იმყოფებიან იქ შეღავათის უფლების მქონე პირნი თუ არა.

4) სახლის მოსახლეობის ახალი წიგნით რეგისტრაციაში გატარება აბონენტებმა უნდა მოათაონ ა | წ. 25 ოქტომბრამდე.

ახალი წიგნების რეგისტრაციაში გატარების დროს წარმოდგენილი უნდა იქნეს: 1) ძველი წიგნები, 2) სახლის სამილიციო წიგნი და 3) პირადი საბუთები, მხოლოდ ახალი შეღავათების უფლების მქონე პირებისა. სახლიდან გასული მობინადრეები, რომელნიც ძველ წყლის წიგნებში ირიცხებიან, ახალ წიგნში გადაწერის დროს არ უნდა იყვნენ შეტანილნი.

5) ნოემბერში წყალსადენის კონტროლიორების მორიგ ჩამოვლის დროს წყალსაზომებიდან ჩვენების აღებისას, აბონენტები მოვალენი არიან წარუდგინონ ახალი წყლის წიგნები და რომელი აბონენტიც ასეთს არ წარმოადგენს, წყალი დაეკეტება.

წყალსადენის დირექტორი **ხოჯაევი.**

3—1 ნ: 1728 კანცელარიის გამგე: **ქურთიშვილი.**

---

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
из
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ
ОТДЕЛ
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН-МОСКВА"
в МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ
ВНУТРИ КОРОБКИ

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ"

ერიდეთ ყალბ წამალს

## სეკარის სითხე

**„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან"**

„გალენ მოსკოვის" კოოპერატიულ ორგანოტერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8302. დამზადებულია პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან. გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების დაღლილობას, ყოველი [illegible] ნევრასთენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისაგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ, როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, [illegible] ოპერაციის შემდეგ ავადმყოფობა, მილების არტერიოსკლეროზული ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე, კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ქლექი, შაქრის ავადმყოფობა, ხერხემლის ანთება და სხვ. მრავალი. წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებს პირდაპირ ავადმყოფობის გარეშე.

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
из
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULORUM
SPIRITUOS
ЛАБОРАТОРИЯ
„ГАЛЕН МОСКВА"
в МОСКВЕ

## ერიდეთ ყალბ წამალს

**უსათუოდ მოითხოვეთ მწვანე ბანდეროლიანი და წარწერით**

**კონტროლი** | სეკარის სითხე მთავ. წარმომადგენლობა ა.-კ. ს. ს. ფ. რ. თბილისი, თავისუფ. მოედ. № 2.

ფასი 2 მ. 50 კ. [illegible]

АДРЕС Зак. представит. кооператива Гален—Тифлис. Площадь своб. № 2 от. 3 быв. Караван. Сарай Тамамшова, вход напротив быв. гостиницы „Кавказ".

სეკარის სითხე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებ.

ნ. № 1842—0—6

---

# საჯარო ვაჭრობა

## ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო ა. წ. 25 სექტემბრისათვის ნიშნავს

## შერეულ საჯარო ვაჭრობას

**ვაგონ-ბუფეტების, ბუფეტების და სავაჭრო ფარდულების და სხვათა იჯარით გასაცემათ:**

1) ვაგონ-ბუფეტი მატარებელში № 7 | 8, რომელიც დადის ბათომ-ბაქოს შორის 3 შემადგენლობით, ერთი წლის ვადით 1925 წ. 1 ოქტომბრიდან, 1926 წლის 1 ოქტომბრამდე.

2) 1 და 2 კლასის ბუფეტები შემდეგ სადგურებზე: ბათომი, სამტრედია, ახალ-სენაკი, ფოთი, რიონი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, მცხეთა, ნავთლუღი, გურჯაანი, კარაკლისი, ლენინაკანი, ერევანი, ნახიჩევანი, ჯულფა, ყარაიაზი, აქსტაფა, ევლახი, უჯარი, კიურდამირი, აჯიკაბული, ბაქო-საბუნჩი—ვაგზალი, საბუნჩი, ხაჩმასი.

3) მე 3 კლასის ბუფეტები სადგურებზე: ბათომი, ჩაქვა, ქობულეთი, ნატანები, სუფსა, ლანჩხუთი, სამტრედია, აბაშა, ფოთი, ფოთის ნავთსადგური, რიონი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ბოსლევი, ჭიათურა, საჩხერე, ძირულა, ხარაგოული, მარელისი, ხაშური, ბორჯომი, ბორჯომ-პარკი, ბაკურიანი, სურამი, ქარელი, გორი, მცხეთა, ნავთლუღი, ვაზიანი, იორი, საგარეჯო, ბადიაური, მუკუზანი, თელავი, წნორის-წყალი, სანდარი, სადახლო, სანაინი (იმ პირობით, რომ კეთდებოდეს ცხელი საჭმელები), კარაკლისი, ამამლი, ლენინაკანი, ალაგეზი, ულუხანლუ, ერევანი, კამარლიუ, შახტახტი, ნახიჩევანი, აგ-ტაგლა, ყარაიაზი, ფოილო, აქსტაფა, თაუზი, ძეგამი, დალიარი, შამხორი, დალმამეტლი, ევლახი, ლიაკი, უჯარი, მიუსიუსლი, კიურდამირი, სალიანი (იმ პირობით, რომ დამზადდება ცხელი საჭმელები), ქარასუ, აჯიკაბული, ნავაგი, ალიატი, საბუნჩა, სურახანა, სუმგაიტი, კილიაზი, კიზილ-ბიურუნ, დივიჩი, ხაჩმასი, კუსარ-ჩაი, ხუდატი, იალომა, ბელიჯი, ნორაშენ, გერანი.

4. ბუფეტი-კარავი შემდეგ სადგურებზე: ტყიბული, წალვერი, ავჭალა, შულავერი.

5. სავაჭრო დუქნები შემდეგ სადგურებზე: ბათომის ნავთსადგური, ჩაქვი, ციხისძირი, ქობულეთი, ჯუმათი, საჯევახო, სამტრედია № 2 და 3, აბაშა № 1 და 2, ახალ-სენაკი, ფოთი, რიონი № 2 და 3, ქუთაისი, მოლითი, წიფა, ბოსლევი, ხაშური № 2 და 3, სუმბათოვი, კასპი, ქსანი, ნავთლუღი № 2, კალაგერანი № 1 და 2, კარაკლისი № 2, ამამლი, ლენინაკანი № 2, კარაბურანი ნახიჩევანი აქსტაფა № 2, 3, 4 და 5, განჯა №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8, დალმამეტლი, ევლახი № 2. 3, 4, ლიაკი, აჯიკაბული, სანგაჩალი, ეიბატი ბაქო, № 1 და 2, ბაქო 11, ბაქო-საბუნჩა სადგური, საბუნჩა № 2 (№ 2 საკუთარი მოიჯარადრე), სურახანი, ხაჩმაზი № 1, კუსარჩაი, ბელლევი.

6. ფარდულები განჯის სადგურზე № 1 და 2.

7. სადგურ საბუნჩაზე ნავი.

8. შინამრეწველობის გასაყიდი კარავები სადგურებზე: ბაქო 1 და საბუნჩა.

9. სადალაქოები შემდეგ სადგურებზე: ბათომი, [illegible], სამტრედია, ფოთი, რიონი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი № 2 (ერთი ხის შენობაში) ჭიათურა, საჩხერე, ხაშური №№ 1 და 2, ბორჯომი, ბორჯომ-პარკი, გორი, მცხეთა, ტფილისი №№ 1 და 2, ნავთლუღი, გურჯაანი, სანაინი, კარაკლისი, ლენინაკანი, ერევანი, ნახიჩევანი, ტაუზი, აქსტაფა, განჯა, ევლახი, ლიაკი, აჯიკაბული, ბალაჯარა ბაქო № 1, ბაქო-საბუნჩა—სადგური, საბუნჩი, ხაჩმაზი.

10. ადგილები სასწრაფო სურათების გადასაღებათ სადგურებზე: ტფილისი, ბათომი, ბაქო.

იმ პირებს, რომელთაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებაში, უნდა ჩაუშვან დახურული კონვერტით განცხადება განსაკუთრებულ ყუთში, რომელიც გამოკიდებულია სამმართველოს მეორე სართულში. ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 1925 წ. 25 სექტემბრის 10 საათამდე. განცხადებაზე უნდა დააკრან სალერბო მარკა 3 მან. 30 კაპ., ხოლო თანდართული მოწმობები და სხვა საჭირო ქაღალდები, რომლითაც მტკიცდება, რომ მოიჯარადრე თავის დროზე შეიტანს საიჯარო გადასახადს და კეთილსინდისიერათ შეასრულებს საიჯარო პირობებს და ყველა სხვა საბუთებზე უნდა დაკრული იქნას 1 მან. სალერბო მარკა.

კონვერტზე უნდა წააწერონ: „ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველოს 1925 წლის 25 სექტემბრის საიჯარო შეჯიბრებისათვის".

განცხადებებზე თანდართულ უნდა იყოს: 1. ქვითარი რკინის გზის სალაროში საიჯარო გადასახადის 10 პროც. შეტანის შესახებ; 2. პირადობის მოწმობა ან მის მაგიერი საბუთი.

ვისაც ჰსურს რამოდენიმე საწარმოოს იჯარით აღება, ყოველ მათგანზე უნდა შემოიტანოს ცალკე განცხადება, სალერბო გადასახადის წესის შესრულებით, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები. ამ პირობის გარეშე განცხადებას ექნება მნიშვნელობა, მხოლოდ ერთი [illegible] საწარმოოს აღებათ.

სავაჭრო ფარდულების მიმდინარე შეკეთება უნდა მოხდეს მოიჯარადრეების ხარჯზე.

სავაჭრო ფარდულები, რომელიც ეკუთვნის კერძო პირებს, უნდა გამოიყიდონ საერთო წესით იმ პირებმა, რომლებიც ამ ფარდულებს აიღებენ იჯარით.

მოიჯარადრეებმა იმის დასადასტურებლათ, რომ ისინი წესიერათ იხდიდენ საიჯარო გადასახადებს, სადგურის უფროსებს უნდა გამოართვან შესაფერი მოწმობები, წინააღმდეგ შემთხვევაში საიჯარო შეჯიბრებაზე დაშვებულნი არ იქნებიან. თუ ის პირები, რომელთაც დარჩებათ საწარმოო, მაშინვე არ შეიტანებენ მთლად საიჯარო გადასახადს და ხელს არ მოაწერენ პირობას, ვერ მიიღებენ ვაჭრობის ნებართვას,—მხოლოთ საიჯარო გადასახადი ჩაეთვლებათ 1925 წლის 1-ლ სექტემბრიდან.

მოიჯარადრეების შერჩევის დროს რკინისგზის სამმართველო იტოვებს უფლებას იხელმძღვანელოს არა მარტო საიჯარო გადასახადის სიდიდით, არამედ სხვა გარემოებებითაც, რომელსაც მოითხოვს სახელმწიფოს და რკინისგზის ინტერესები.

ცნობებისათვის უნდა მიმართონ სამმართველოს კომერციულ ნაწილის ეკონომიურ განყოფილებას ყოველდღე გარდა უქმეებისა დღის 12 საათიდან 2 საათამდე ცნობების მიმწოდებელ ბიუროს საშუალებით.

ნ. 1726 1—1

**სამმართველო.**

---

## ყველაფერი დაფყებული ყველასათვის

აუცილებელ საპნიდან
საუკეთესო ფლაკონ
დუხებამდე

გახსნა
დღეს
17
სექტემბერს

## „უნირსინდიკატ"-ის

მაღაზიაში თავისუფლების მოედანი (ყოფ. ერევნის მ.) № 1

გახსნა
დღეს
17
სექტემბერს

„ტეჟე"-ს (ყოფ. ბროკარის და რალლეს) ფაბრიკის ყაზანის სახელმწიფო საპნის ქარხნის (ყოფ. კრესტოვნიკოვის და სხვ.) პროდუქცია.

ნ. 1720—2—1

---

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა და ს[...]ლარის მოწმობა კალე ცეცხლაძის სახელზე. ჩ. გ. 2506 1—1

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა, სამხე[...]რო აღრიცხვის ფურცელი და წევრობის ბარათი აკაკი მეთოდეს ძე კენჭოშვილის სახელზე. ჩ. გ. 2508 1—1

**დაიკარგა** კომკავშირის ბილეთი № 1503[...] და მუშფაკიდან მიღებული მოწმობა ლ[...]რენტი სტეფანეს ძე გელდიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2503 1—1

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა № 641[...] პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 46:[...] და ქვითარი № 1 ოფლეთის თემის პროფ[...]რწმუნებულისაგან ნოე მალაქიას ძე მაისურაძის სახელზე. ჩ. გ. 2512 1—1

**დაიკარგა** პირადი ფურცელი ფორმა № [...] გედეონ ნიკოლაიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2511 1—1

**დაიკარგა** მოწმობა № 75. მოცემულ[...] 1909 წ. ნიესაგოურის თემის ორკლასიანი სასწავლებლიდან ივანე გლახუას ძე [...] სახელზე. ჩ. გ. 2514 1—1

---

## დღეს მოხდება კინო „სოლეი"-ს შემოდგომის სეზონის გახსნა (კაპიტალური რემონტის შემდეგ)

ეკრანზე ამერიკის კინომრეწველობის უკანასკნელი შედევრი, გამოშვებული 1925 წელს

## „პატარძალთა ხომალდი"

მთავარ როლში პირველად ჩვენში ცნობილი ტ. კომპსონ.

**პროგრამის ბოლოს:** ქრონიკა № 5, გამოცემული საქართველოს კინომრეწველობის მიერ.

სიმებიანი ორკესტრი რეიზნერის ხელმძღვანელობით

ნ. 1729 1—1

ტირაჟი—20.228

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშ. წულუკიძის ქ. № 6